




This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the [Institute for the Study of the Ancient World Library](#) in partnership with the [Georgian National Museum](#).

- Creator: Lortkipanidze, M. | ლორთქიფანიძე, მ. | Лорткипанидзе, М. Н.
- Title: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები ტომი III (საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გლიპტიკური ძეგლების კატალოგი) | Геммы Государственного Музея Грузии том III (Каталог Памятников Глиптики, Найденных на территории Грузии)
- Publication Date: 1961
- Publisher: Georgian National Academy Of Sciences, Georgian National Museum
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscce3594c9441

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.



საქართველოს
სახელმწიფო
მუზეუმის
გეგმა

III



АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ГОС. МУЗЕЙ ГРУЗИИ ИМ. АКАД. С. Н. ДЖАНАШИА

М. Н. Лордкипанидзе

Геммы Государственного Музея Грузии

III

Каталог памятников глиптики, найденных на территории
Грузии

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ТБИЛИСИ—1961

17

მარგარიტა ლორთქიფანიძე

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
გემები

III

საქართველოს ტერიტორიაზე მონღოლური კლინიკური
ძეგლების კატალოგი

საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკას

15. I. 62

მ. კლავ



მარგარიტა ლორთქიფანიძის წიგნში „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III“ აღწერილია საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გლიპტიკური ძეგლები. რომლებიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ავტორს მასალა დაჯგუფებული აქვს ქრონოლოგიური თანმიმდევრობისა და წარმოშობის მიხედვით. გამოყოფილია გემების შემდეგი ჯგუფები: მცირეზიული (ელინისტური და რომაული ხანის), იტალიკური, ე. წ. ბერძნულ-რომაული, რომაული, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ადგილობრივი: აგრეთვე ძვ. აღმოსავლური—ხეთური წრისა და ახ. წ. ირანული წარმოშობის გემები.

საქართველოში მოპოვებული გემებისა და საბეჭდავების შესწავლის შედეგად ავტორი ადგენს, რომ მხატვრული ხელოსნობის დარგს—გლიპტიკას ჩვენში დაუფლებული იყვნენ.

წიგნში ნაჩვენებია, რომ საქართველოს მოსახლეობაში კრილა ქვები-გემები ფართო გამოყენებით სარგებლობდა ძვ. წ. VII ს.—ა. წ. XIXს. ჩათვლით და რომ მათი ძირითადი დანიშნულება საბეჭდავი იყო.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი

აკად. შ. ამირანაშვილი

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომში შესულია საქართველოს ტერიტორიაზე (ახალგორში, ახმეტაში, ახალციხეში, ბოლნისში, ბორში, დიდლილოში, ზაჰესში, ზემოავჭალაში, თბილისში, ლოჭინში, მცხეთაში, საციხურში, ურბნისში, წილკანში, ყოლოთოში და ა. შ.) მოპოვებული მხოლოდ ის გლიბტიკური ძეგლები, რომლებიც ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიბტიკის კაბინეტშია დაცული.

ნაშრომი გამომცემლობას 1954 წელს გადაეცა, ამდენად განხილული გვაქვს მხოლოდ ის მასალები, რომლებიც კაბინეტში 1954 წლამდე შემოვიდა.

დასასრულს ჩვენ სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მადლობა მოვახსენოთ პროფ. მ. მაქსიმოვას რიგი მნიშვნელოვანი მითითებისათვის.

აგრეთვე წიგნის გაფორმებისათვის მხატვარ ა. ამბრიაშვილს, მეცნიერ თანამშრომელ ს. ბოლქვაძეს და ვ. თულაშვილს.

მ. ლორთქიფანიძე

შ ე ს ა ჯ ვ ა ლ ი

გლიბტიკურ ძეგლებს ქართულ არქეოლოგიურ მასალებში საგულისხმო ადგილი უჭირავს¹. ამ ძეგლების შესწავლა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი საქართველოს ხელოვნების ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალა ცხადყოფს, რომ კრილა ქვები—გემები ძვ. საქართველოს მოსახლეობაში ფართო გამოყენებით სარგებლობდა და რომ მათი ძირითადი დანიშნულება საბეჭდავი იყო².

გლიბტიკური მასალებისა და ქართული წყაროების³ შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გემებისა და საბეჭდავების გავრცელება-გამოყენება ჩვენში დროის დიდ მონაკვეთს მოიცავს, სახელობრ ძვ. წ. VII საუკუნიდან ვიდრე XIX საუკ. ჩათვლით⁴.

უცხო მასალების გარკვეული სიმრავლე, ადგილობრივი მასალების გვერდით, კიდევ ერთხელ ზედმეტად ადასტურებს ძვ. საქართველოს ცხოველ სავაჭრო ურთიერთობას წინა აზიასთან, ახლო აღმოსავლეთთან და ანტიკურ სამყაროსთან.

ჩვენში მოპოვებული გემებისა და საბეჭდავების ყოველმხრივი ანალიზის შედეგად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძვ. საქართველოში მხატვრული ხელოსნობის ამ დარგის (გლიბტიკის) განვითარებაზე, როგორც ჩანს, დიდ გავლენას ახდენდა, ერთის მხრივ, აქამენიდური ხელოვნება. ამას ნათლად მოწმობს ახალგორში აღმოჩენილი ძვ. წ. V—IV საუკ. საბეჭდავი-ბეჭდები (ჩვენ მათ ადგილობრივ ნახელავად მივიჩნევთ. იხ. გვ. 39—41), ხოლო მეორეს მხრივ მესოპოტამიისა და გვიანბაბილონური სამეფოს ხანის გლიბტიკა. ამ უკანასკნელის დასადასტურებლად ძვ. წ. IV—III სს. ყოლოთოს (და ნაწილობრივ წალკაში) მოპოვებული ლითონის საბეჭდავი-ბეჭდების მოყვანა შეიძლება (იხ. გვ. 43—44)⁵.

ქვაზე ამოჭრის ხელოვნებას ჩვენში მყარი ნიადაგი შეუზადა და საფუძვლად დაუდო მის შემდგომ განვითარებას ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავების ადგილობრივად წარმოებას და ინტალიოების ამოჭრამ რბილ ლითონზე ჯერ კიდევ გვიანაქაენიძურ და ელინისტურ ხანაში.

ამ მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე განვითარდა ახ. წ. პირველ საუკუნეებში იბერიაში მხატვრული ხელოსნობის ეს მეტად ფაქიზი და ტექნიკურად რთული დარგი, რასაც არმაზისხევის

¹ მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები II, არმაზისხევისა და ბაგინეთზე მოპოვებული გლიბტიკური ძეგლები, თბილისი, 1958, გვ. 12—19.

² გემების დანიშნულება-გამოყენების შესახებ ჩვენში იხ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 4, 14, 15, 18, 19.

³ კალმასობა ანუ იოანე იერომონახის მოგზაურობა, ხელნაწ. H 2170.

⁴ მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

⁵ აღნიშნული ბეჭდების შესახებ იხ. გვ. 39—44, აგრეთვე მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

ბიტიახშთა სამაროვანში მოპოვებული იბერიელი ოსტატების მიერ მაღალი მხატვრული ხელოვნებით შესრულებული გემები მოწმობს⁶.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ამჯერად ძვ. საქართველოში გლიპტიკის განვითარების ერთიანი ხაზის დადგენა შეუძლებელია იმის გამო, რომ ადგილობრივად მიჩნეულ მასალებში, ამ მხრივ, ქრონოლოგიურად დიდი ხარვეზი გვაქვს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ხარვეზი მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიებით შეივსება.

წინამდებარე ნაშრომში, რომელიც სისტემატიკურ კატალოგს წარმოადგენს, შესული მასალების ერთი ნაწილი არქეოლოგიური ექსპედიციების მონაპოვარს შეადგენს, მეორე — შემთხვევითი აღმოჩენებისა (მშენებლობისას, მიწის სამუშაოების დროს და ა. შ.). ამიტომ ზოგ შემთხვევაში ჩვენთვის არ არის ცნობილი რა ტიპის სამარხში ან რა კომპლექსში აღმოჩნდა ესა თუ ის გემა.

კატალოგში მასალა წარმოშობისა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გვაქვს დაჯგუფებული.

სტილისტური და შედარებითი ანალიზის შედეგად ჩვენ შევძელით გემების შემდეგი ჯგუფების გამოყოფა: მცირეაზიულის (ელინისტური და რომაული ხანისა), იტალიკურის, ე. წ. ბერძნულ-რომაულის, რომაულის, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის, ადგილობრივის: აგრეთვე ძვ. აღმოსავლურის, სახელდობრ, ხეთური წრისა და ახ. წ. ირანული წარმოშობის გემები.

გემებისა და საბეჭდავების განსახლეობა-დათარიღებისას ჩვენ ძირითადად ვეყრდნობოდით სტილისტურ ანალიზს და ამოჭრის თავისებურებას; აგრეთვე ბეჭდების ფორმისა და სამკაულების ანალიზს. კატალოგში განხილული ძირითადი ნაწილი საბეჭდავებს წარმოადგენს; სამკაული — გემები რამდენიმე კამეითა და ინტალიოთია წარმოდგენილი (ზოგი ინტალიო, როგორც ჩანს, მხოლოდ სამკაულად იყო განკუთვნილი). ჩვენის აზრით განსხვავებულ სამკაულად უნდა მივიჩნიოთ კლდეებში მოპოვებული ახ. წ. I საუკ. მიწურულისა და II საუკ. დასაწყისის ინტალიო (№ 16, იხ. გვ. 22—23), რომელიც ჩვენ წინაარსის გამო (გემაზე ამოჭრილ სიუჟეტს ჩვენ ვხსნით როგორც ტრიუმფალურ სცენას — სამსხვერბლოზე მძლავრი არწივი ზის, რომელსაც გამარჯვების ნიშნად ნისკარტში გვირგვინი უჭირავს⁷. მინდორში, მარცხნივ, ლეგიონის ნიშანია აღმართული; არწივს გამარჯვების ღვთაება — ნიკე უახლოვდება ხელში გვირგვინით, შუბითა და პალმის ტოტით) რომაული ლეგიონის ნიშნად მივიჩნიეთ და ბირობითად „ორდენი“ ვუწოდეთ⁸.

აღნიშნული გემა სამარხში ნახული ქარქაშის ერთ-ერთ სალტეს (ხმლის ვადასთან) ამკობდა. ვფიქრობთ, რომ ხმლის მფლობელი რომაულ ლეგიონში მონაწილე მეომარი უნდა ყოფილიყო. ჩვენის აზრით გემა შემთხვევით გამოყენებული სამკაული არ არის, არამედ იგი საგანგებოდ შეკვეთილი, განმასხვავებელი ნიშანი უნდა იყოს. ხმლის მფლობელი ან მაღალი რანგის მეომარი იყო და აღნიშნული გემა მის ინსიგნიას წარმოადგენდა, ანდა ბრძოლაში თავი გამოიჩინა და ინტალიო ამის მაუწყებელი წარჩინების ნიშანია.

ჩვენ ამ მოსაზრების გამოთქმა მხოლოდ ვარაუდით შეგვიძლია, რადგან ჩვენში ანალოგიური ნივთის მოპოვების შემთხვევა ცნობილი არ არის, ხოლო უცხო მასალებს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ⁹.

⁶ იხ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 20—29, 48—72.

⁷ აღნიშნული გამოხატულება სიმბოლურად რომაული იარაღის ძლიერებას ნიშნავს. იხ. М. И. Максимова, Геммы из некрополя Мухеты—Самтавро (раскопки 1938—39 гг.), საქ. სახ. მუზეუმის „მონაბე“, XVI—B, თბ., 1950, გვ. 230; მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

⁸ მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 15; აგრეთვე იხ. М. Н. Лордкипанидзе, Памятники глиптики, найденные в Армазисхеви и Багинети, Автореферат, Тбилиси, 1958, стр. 7.

⁹ იარაღის შემგობა კრილა ქვევით ანტიკური სანჯაროსაძის ცნობილია, იხ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

საკუთრივ ავგაროზი ჩვენს მასალებში რამდენიმეა: მათ შორის ყურადღებას იპყრობს წილკანში აღმოჩენილი ამეთვისტოს ინტალიო (იხ. № 20, გვ. 26—29) არიადნას გამოხატულებით, რომელიც დროთა ვითარებაში აბრაზაქსად ქცეულა და ამდენად — ავგაროზადაც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ინტალიო გლიპტიკურ ძეგლთა შორის, თავისი ხასიათით, უნიკალურად უნდა ჩაითვალოს. ქვის ორივე მხარეა გამოყენებული (სხვადასხვა დროს): ერთი გამოხატულებისათვის, მეორე — წარწერისათვის (ამჟამად გემის პირს არიადნას გამოხატულება წარმოადგენს, ოქროს მედალიონს ამკობს და ადამიანის თვალისათვის მისაწვდომია, ხოლო ბერძნული წარწერა აბრაზაქსი — უჩინარია, იგი ბუდეშია დამალული მთლიანად).

წარწერის შესწავლისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო შემდეგმა გარემოებამ: ახლანდელი წარწერის ქვეშ, აქაიქ, ბერძნული ასოები შევამჩნიეთ. ამის შემდეგ ჩვენ ბინოკულარული ლუბის გამოყენება გადავწყვიტეთ და წარწერის გულმოდგინე შესწავლის შედეგად დავრწმუნდით, რომ ძველი წარწერა რომელიღაც ოსტატის ხელს გადაუშლია (ძნელია ამჟამად თქმა, გამოხატულების თანადროული იყო პირველი წარწერა, შემდეგდროინდელი თუ უფრო ადრეული). შემდეგ, მის ნაცვლად, ახალი წარწერა — აბრაზაქსი ამოუკვეთიათ. ძველი წარწერის მკრთალი კვალი ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი (იხ. სურ. 11). აქედან გამომდინარე ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ინტალიოს სახით საქმე გვაქვს პალიმფსესტთან¹⁰.

ჩვენში მოპოვებული ახ. წ. ანტიკური წარმოშობის გემები სავსებით იდენტურია ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ გლიპტიკურ ძეგლებთან (იხ. ჩვენი — არმაზისხეცსა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები, გვ. 14) როგორც შინაარსობლივად, ასევე სტილისტურად და მასალით. პარალელური მასალების ღრმა შესწავლა საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ზოგიერთი გემის წარმოების ცენტრი (ძირითადად მხედველობაში გვაქვს ახმეტასა და საციხურში აღმოჩენილი მინის გემები).

ჩვენს კატალოგში განხილულ ანტიკურ გემებზე ღვთაებებიდან წარმოდგენილია: ძევსი, ათენა-პალადა, ტიხე-ფორტუნა, სინკრეტული ღვთაება ფორტუნა-იზიდა, აპოლონ-კიუარედი, არესი, აფროდიტე-ანადიომენე, გამარჯვების ღვთაება — ნიკე, არიადნა, ეროსი, თანატოსი, სერაპისი; აგრეთვე ლედა და გელი, პანი და ა. შ. გმირებიდან — პერსეოსი; ავი თვალისაგან დასაცავი საშუალება — ნიღბები. ამას გარდა: კავშირისა და თანხმობის ნიშანი — ხელის ჩამორთმევა (საქორწილო ბეჭედი), ომში გამარჯვების სტენები, ცხოველები, ფრინველები, მწერები და ა. შ. (იხ. საძიებელი).

მასალად გემებისათვის, ძირითადად, გამოყენებულია ფარულკრისტალებიანი კვარცის ჯიხები და მინა (იხ. საძიებელი). ბუდეებისათვის — რკინა, ბრინჯაო, ვერცხლი და ოქრო.

კატალოგში შესული ადგილობრივი გემები სამ ჯგუფად იყოფა: 1. ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები, 2. ლითონის საბეჭდავი — ბეჭდები და 3. ქვაზე ამოჭრილი გემები, რომლებიც სამკაულებშია ჩასმული.

ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავების წარმოება იბერიაში გვიანაქამენიდურსა და ელინისტურ ხანაში დადგენილ ფაქტად ითვლება¹¹.

ახალგორსა (ძვ. წ. V—IV სს.), წალკასა (ძვ. წ. V—IV სს.) და ყოლოთოში (ძვ. წ. IV—III სს.) მოპოვებულ ლითონის საბეჭდავ-ბეჭდებს ჩვენ ადგილობრივ ნახელავად მივიჩნევთ (იხ. გვ. 39—44). ამათგან ერთი ნაწილი აქამენიდური ხელოვნების გავლენას განიცდის, მეორე გვიანბაბილონური სამეფოს ხანისა და მესოპოტამიის გლიპტიკისას (იხ. გვ. 38—44)¹².

¹⁰ ჩვენ ამ ძეგლის შესწავლას კვლავ ვაგროვებთ და ვფიქრობთ ახლო მომავალში სპეციალური წერილის გამოქვეყნებას.

¹¹ იხ. М. И. Максимова, Стекланные многогранные печати, найденные на территории Грузии. „ენიმკის მოამბე“, X, თბ., 1941, გვ. 75—91; აგრეთვე მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 11—14.

¹² მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 12—13.

აღნიშნული საბეჭდავები ფარაკიან ბეჭდებს წარმოადგენენ და ამ პერიოდში ანტიკურ სამყაროში გავრცელებულ ბეჭდის ფორმებს იმეორებენ. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საბეჭდავი—ბეჭდები როგორც სტილისტურად, ასევე კომპოზიციის მხრივაც თვალსაჩინოდ განსხვავდება უცხო სინქრონული მასალებისაგან მაშინაც კი, როდესაც შინაარსობლივად მსგავს მასალებთან გვაქვს საქმე. ამ მხრივ ისინი გლიბტიკურ ძეგლთა შორის განცალკევებულ ჯგუფში გამოიყოფიან (ამავე ხასიათის ძეგლს წარმოადგენს სამთავროში № 82 ქვევრსამარხში მოპოვებული ელინისტური ხანის ინტალიო, შდრ. ჩვენი კატალოგის №№ 36, 39, 42, ა. შ.). ჩვენის ვარაუდით აღნიშნული მასალები ადგილობრივ ნახელავს წარმოადგენს.

ადგილობრივი გემებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კლდეეთში მოპოვებული სარდიონის ინტალიო (№ 53, გვ. 48—50) „ყაბალახიანი“ მამაკაცის გამოხატულებით. იგი წარმოადგენს გარკვეული პიროვნების რეალისტურად შესრულებულ პორტრეტს¹³. პორტრეტის შემქმნელი ოსტატი მაღალი ნიჭით დაჯილდოვებული თავისებური ხელოვანი იყო; მისი ნახელავი აშკარად მოწმობს, რომ მაღალმხატვრულ გემოვნებასთან ერთად იგი შესანიშნავად ფლობდა ქვაზე ამოჭრის რთულ ტექნიკურ პროცესს. ჩვენთვის უცნობი ოსტატის ნახელავს თავისებური მხატვრული ინდივიდუალობა ახასიათებს. ეს თვალსაჩინო ხდება ჩვენი გემის სინქრონულ პორტრეტებთან შედარებისას.

დადგენა იმისა, თუ ვინ იყო წარმოშობით კლდეეთის გემის შემქმნელი ოსტატი, ძნელია; ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდით შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ იგი ალბათ ანტიკური მჭრელების სკოლას ეკუთვნოდა.

ეთნიკური ტიპის მიხედვით გემაზე არც ბერძენია გამოხატული და არც რომაელი (ამას ჩაცმულობაც, სახელდობრ, „ყაბალახი“ მოწმობს). ჩვენის ვარაუდით გემაზე რომელიმე წარჩინებული კოლხი უნდა იყოს გამოხატული (პირველად მიღებული შთაბეჭდილებით ჩვენ იგი მოაზროვნედ მივიჩნიეთ).

აღმოსავლური გემებიდან უნდა აღინიშნოს ურბნისში მოპოვებული № 49 საბეჭდავი (იხ. გვ. 46—47)¹⁴, რომელიც შედარებითი ანალიზის შედეგად ~~საბეჭდავი~~ ხეთური წრის ძეგლად მივიჩნიეთ. ჩვენის აზრით იგი მეოთხე არქეოლოგიურ ფენას უნდა უკავშირდებოდეს.

ირანული წარმოშობის ახ. წ. კატალოგში განხილული გემების ჯგუფი რიცხობრივად პატარაა და იგი განსაკუთრებით არაფრით გამოირჩევა.

„დამატებაში“ გემების ის ჯგუფი მოვათავსეთ, რომელთა სადაფრობის გარკვევა ჯერჯერობით ვერ შევძელით.

1. ანტიკური გემები

ა. მცირეაზიური

1 (იხვ. № 820)

ინტალიო მუქი ნარინჯისფერი სარდიონისა (მოწითალო ფერი გაჰკრავს), აქა-იქ შავი წინწკლებით სიღრმეში, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ოვალური მოყვანილობის ინტალიოს ამოზურცული პირი აქვს, ასეთივე ქვედაპირი.

პირზე გამოხატულია ლომისა და ირემის ბრძოლა. ირემი პროფილში მარჯვნივ არის გამოხატული, მწოლიარეა. მას ზურგიდან თავს ესხმის ლომი; წინა თათებით ლომი ირემის ფერდებს ჩაფრენია, თავი ირემის ზურგთან აქვს მიტანილი, პირაშემულია.

¹³ გემა კვლავ შესწავლის პროცესშია. ვფიქრობთ, რომ ვარაუდით გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება დაზუსტდება და შესაძლოა შესწორდება კიდევ.

¹⁴ საბეჭდავი მუზეუმში 1902 წ. არის შემოსული, იხ. П. С. Уварова, Коллекции Кавказского музея, т. V, Тифлис, 1902, стр. 104, მოპოვების ვითარება არ არის ცნობილი.

ირემს მოკლექტობიანი, დაბალი და აშართული რქები აქვს (ტოტები *bouterolle*-ით არის გაკეთებული); მაღალი, საკმაოდ ფართო კისერი, შედარებით პატარა თავი სუშარულადაა შესრულებული. ირემს მუცელი და ფერდები ოდნავ გამობერილი აქვს; გულ-მკერდი სხეულისაგან ოდნავ შესამჩნევი ღარით არის გამოყოფილი. მარჯვენა წინა ფეხი წინ აქვს გაშვებული, მარცხენა—სახსარში მოკეცილი; უკანა ფეხები—გაშლილი. კუდი მოკლე ხაზით არის აღნიშნული. ირმის ფიგურა უსიციოცხლო და გახვევებულია.


ლომს დაბალი ფაფარი აქვს, სუშარულად შესრულებული თავი. მაღალი ფეხები საკმაოდ სქემატურადაა გამოხატული; მეტად გრძელი კუდი ძირს ჩაშვებული და ბოლოაწეული აქვს. ნეკნები ოდნავ შესამჩნევი ღარებით არის აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზგა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად და მკვეთრად. გულმოდგინე და სუფთა ნახელავია, ამავე ღროს ერთგვარად სქემატური. სახსრებისა და რქების გამოხატვისას ოსტატს *bouterolle*-ისებრი საჭრისი გამოუყენებია. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული. გამოხატულება ოსტატს მქრქალად გაუპრიალებია.

ანალოგიური სიუჟეტი ადრეანტიკურ გლიბტიკაში ე. წ. ბერძნულ-სპარსულ გემებშია გავრცელებული. იხ. Т. Н. Книпович, Греко-персидские резные камни Эрмитажа, Сп. Гос. Эрмитажа, в. II, II., 1926, ტაბ. III, გამ. 11; Furtwängler, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, Berlin, 1896, ტაბ. 6, გამ. 308; Furtwängler, Die Antiken Gemmen, Leipzig, 1900, გვ. 447, გამ. 229; ტაბ. XI, გამ. 22; Reinach, Pierres gravées, Paris, 1895, ტაბ. 97, გამ. 130; Babelon, Intailles et camées de la Bibliothèque Nationale, Paris, 1899, ტაბ. V, გამ. 59; Walters, Catalogue of engraved gems and cameos greek, etruscan and roman, London, MCMXXVI, ტაბ. IX, გამ. 540; Lippold, Gemmen und Kameen des klassischen Altertums, Stuttgart, ტაბ. 85, გამ. 7.

ვერცხლის ბეჭედი მასიურია. განიერი, რელიეფურზედაპირიანი რქალი „მხრების“ მიმართულებით თანდათან ფართოვდება და უშუალოდ გადადის დაბალ, ოვალური მოყვანილობის ბუდეში.

რქალს გვერდებზე (სიგრძეში) მკრთალი, მომრგვალებულ-კონტურიანი წიბო დაჰყვება, რომელიც მხრებთან ქრება. რქალის შიდაპირი თითქმის ბრტყელია. ბუდეს ფართო და ბრტყელი ძირი აქვს (იხ. სურ. 1). ანალოგიური ფორმის ბეჭდები ძვ. წ. IV საუკ. თარიღდება. შდრ. Marshall, Catalogue of the finger rings greek, etruscan and roman, London, 1907, ტაბ. X, გამ. 351.



სურ. 1

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული; ქვედაპირზე მცირე ანატაკეცი აქვს. თვალი ბუდიდან ამოვარდნილია, ბუდის ნაპირები შემომტვრეულია. ვერცხლი მყიფეა და რეკრისტალიზირებული.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—18 მმ, ინტალიოს განი—14 მმ, ინტალიოს სიმაღლე—6 მმ, ბეჭდის დიამეტრი—19—15 მმ, სიმაღლე—26 მმ, ბუდის სიგრძე—17 მმ, ბუდის განი—13 მმ.

კლდეთი, 1941 წ., სამარხის ნაშთი (აქტის № 16ა).

ინტალიო მცირეაზიური წარმოშობისაა. სტილის, ამოჭრის მანერისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ძვ. წ. IV საუკ. თარიღდება.

2 (იხვ. № 659)

ინტალიო მოწითალო ფერის სარდიონისა, მოშავო წინწყლებით სისქეში; გამჭვირვალეა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს, ასეთივე ქვედაპირი.

პირზე გამოხატულია ერთმანეთის პირდაპირ მდგომი ათენა-პალადა და ფორტუნა. ღვთაებებს შორის ცხენი (?) დგას.

მარცხენა მხარეს მდგომ ათენას თავი პროფილში მარჯვნივ აქვს მიბრუნებული. ღვთაებას გრძელი, გულ-მკერდთან გადაჭერილი და თეძოებთან გადმოფენილი, მრავალნაოჭიანი პებლოსი აცვია. იდაყვში მოხრილი და ზეაპყრობილი მარჯვენა ხელით შუბს ეყრდნობა, მარჯვენა ხელი წინ აქვს გაწვდილი. ღვთაებას თავზე სქემატურად შესრულებული კორინთული მუზარადი ახურავს. ათენას გვერდით გამოხატულია ცხენი, პროფილში მარჯვნივ. ცხენს ზურგსა და გულ-მკერდში ისარი აქვს მოხვედრილი; წვერი მკერდთან არის გამოსული. მარჯვენა წინა ფეხი ცხენს აწეული აქვს. ცხენის თავი სუმატურად არის შესრულებული. ფაფარი სქემატური ხაზებითაა გადმოცემული, გრძელ ძუას სწორი ხაზი გამოხატავს. ათენა და ცხენი ერთ დონეზე დგანან, ნიადაგის ზოლი ღვთაებისა და ცხენის ფეხებს შორისაა მოთავსებული.

ათენას პირდაპირ, ცხენის წინ, ცოტა ზემოთ გამოხატულია ფორტუნა, თავი არ უჩანს (ამოტეხილია). ღვთაების ტანი პირდაპირაა მოცემული. გრძელი, უსახელო კვართი აცვია. წელსა და გულ-მკერდთან სარტყლებით გადაჭერილი კვართის ნაკეცი სქემატური ხაზებით არის შესრულებული. ფორტუნას მარჯვენა ხელი წინ აქვს გაწვდილი, ცხენის თავს ზემოთ. მარცხენა ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს.

ღვთაებებს შორის, ზემოთ, ცხენის გასწვრივ, რაღაც გამოხატულება ყოფილა ამოჭრილი (ამჟამად ამოტეხილია), ვფიქრობთ, რომ არგაიოსის მთა უნდა ყოფილიყო. მარცხენა მხარეს გვერდი ჩანს — წმინდა ხაზებისაგან შედგენილი. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე მკვეთრ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზგა ამოჭრილი ღრმად და მკვეთრად. მტკიცე ხელით შესრულებული სუფთა ნახელავია. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება ოსტატს მქრქალად დაუტოვებია.

მსგავსი გამოხატულებები გვხვდება რომაულ გლიპტიკაში, იხ. Furtwängler, Beschreibung..., ტაბ. 23, გამ. 2560 (ავტორი გემას გვიანრომაულ ნახელავად მიიჩნევს).

დაცულობა: ინტალიოს ნაპირი ჩამოტეხილი აქვს ისე, რომ გამოხატულება დაზიანებულია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—18 მმ, განი—14 მმ, სიმაღლე—4 მმ.

დიდი-ლილო, შემთხვევითი მონაპოვარი.

ამოჭრის მანერითა და სტილისტური ნიშნების მიხედვით ინტალიო ახ. წ. II საუკ. თარიღდება, ჩვენ მას კაპადოკიურად ვთვლით¹⁵.

ჰ (ინგ. № 859)

ინტალიო ორფენიან ნიკოლოზეა ამოჭრილი, შავი ფერის მოცისფრო-მონაცრისფრო ზოლით გამოხატულების ირგვლივ, ვერცხლის ბეჭედს ამკობს¹⁶. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, მაღალი, პირისკენ ვიწროვდება; პირი ოვალური და ბრტყელი აქვს.

პირზე გამოხატულია სერაპისის ბიუსტი, პროფილში მარჯვნივ, გამოხატულება შავ ფენაზეა ამოჭრილი.

¹⁵ ჩვენ აღნიშნულ სიუჟეტს ვუკავშირებთ კაპადოკიის კესარიაში ახ. წ. I—II სს. მოჭრილი მონეტების გამოხატულებას. სახელდობრ, ვესპასიანეს. მარკ ავრელიუსის, ადრიანეს, ლუცი ვერისა და ანტონინე პიუსის მონეტების RV-ზე მოცემულია მთა არგაიოსის გამოხატულება, რომელსაც ჩვენს გემაზე, კომპოზიციაში, ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს. აღნიშნული მონეტების შეს. იხ. 3 о р а ф, А. Н., Находки античных монет на Кавказе; Wroth. Catalogue of greek coins of Galatia, Cappadocia, ... London, 1899, ტაბ. VIII, გამ. 12; ტაბ. X, გამ. 18, 17, 14, 15; Grose, Greek coins, v. III, Cambridge, 1929, ტაბ. 334, 4, 7.

¹⁶ ბეჭედი გამოცემულია, იხ. ა. აფაქიძე, გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან. საქ. სახ. მეზეუმის „მოამბე“ XIV- B, თბ., 1947, გვ. 104.

სერაპისის თავს მალალი მოდა ამკობს, გულ-მკერდს მანიაკი, რომელიც ნახევარმთვარესა და ვარსკვლავს გამოხატავს.

ღვთაებას საკმაოდ გრძელი, ხვეული თმა აქვს, მალალი თმის ვარცხნილობა; კულულები ცალკეულ ბლუჯებად არის გადმოცემული. კეფაზე თმა სწორი ღარებით არის შესრულებული.

სერაპისს სწორი ცხვირი აქვს, მკვეთრად გამოხატული ნესტოებით, ფართოდ გაღებული თვალი და მორკალული წარბი; გრძელი, ნიკაპზე შემოკვერცხილი ხვეული წვერი, გრძელი უღვაშები ძირსა და შვეებული. მალალი ყვრიმალის ძვალი გამოირჩევა სახეზე.

ღვთაებას მალალი და ლამაზი კისერი აქვს. იგი კვართითა და წამოსასხამით არის შემოსილი; წამოსასხამის ნაოჭები სქემატურად არის შესრულებული.

გამოხატულება დაზგაზნა ამოჭრილი, მკაფიოდ. წმინდა და ფაქიზი ნახელავია. თვალი თანაბრად გათლილი და გაპრიანებული გამოხატულებითურთ.

ფონად ოსტატს შავი ფენა გამოუყენებია, გამოხატულებაც შავ ფენაზე ამოჭრილი; გამოხატულებას, ირგვლივ, ცისფერი ფენა ავლია.

მსგავსი გამოხატულებები გაგრძელებულია რომაული ხანის გლიპტიკურ ძეგლებზე; იხ. Furtwängler, Beschreibung..., ტაბ. 51, გამ. 6926; ტაბ. 60, გამ. 8287; Walters, Catalogue of engraved gems and cameos, ტაბ. XXIII, გამ. 1788 (კომპოზიციაში მცირეოდენი სხვაობა); A. A. Захаров, Геммы и античные перстни Гос. Исторического музея, ტაბ. XI, გამ. 205, 206; ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის გემებიდან იხ. Т. В. Кибальнич, Южно-Русские геммы, ტაბ. VI, გამ. 205.

ვერცხლის ბეჭდის ოვალური მოყვანილობის კოლოფისებრი ბუდე ძირისკენ ვიწროვდება. ბუდის ნაპირები თვალზეა გადმოკეცილი და საკმაოდ მჭიდროდაა ზედ შემოკედლილი; ბუდეს ბრტყელი ძირი აქვს. რკალი მრგვალი და სქელი მავთულისაგანაა გაკეთებული, იგი მიჩილული ყოფილა ბუდეზე. ბეჭედი გვერდებისკენ განხიდულია.

რკალს ვიწრო და ბრტყელი მავთული ჰქონია შემოხვეული (ამჟამად მავთული მხოლოდ ცალ მხარესაა შერჩენილი). ბუდეს ცალ მხარეს ბირთვი აქვს მიჩილული.

დაცულობა: ინტალიო პირის კიდესთან ატკეცილია, მცირედ; რამდენიმე ადგილას გაქაწრულია,

ქვედაპირზე ადგილ-ადგილ პირიტი აქვს გადაკრული. ბუდე გატეხილია, ძირი დაზიანებული აქვს. რკალი მოტეხილია, ვერცხლი მყიდვია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—17 მმ, ბუდის ვანი—17 მმ,
ინტალიოს ვანი—15 მმ, ბუდის სიმაღლე—5 მმ,
ინტალიოს სიმაღლე—3 მმ, რკალის სისქე—3 მმ,
ბუდის სიგრძე—20 მმ, ბეჭდის დიამ.—22—17 მმ.

ურეკი, 1942 წელს შემთხვევით აღმოჩენილი განძიდან.

სტილის, ამოჭრის მანერისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. III—IV საუკ. თარიღდება.

ბ. იტალიკური

4 (ინვ. № 723)

ინტალიო ცისფერი შინისა, ნახევრად გამჭვირვალე. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; თხელი ფენისაგან არის გაკეთებული.

პირზე გამოხატულია აპოლონ-კიფარედის თავი, პროფილში მარჯვნივ. გრძელი და ხვეული თმა ჩაშლილი აქვს, მხრებამდე წვდება. შუბლსა და საფეთქელზე კულულები ჩამოშლია. აპოლონის თავს ფაქიზად შესრულებული დაფნის გვირგვინი ამკობს. გვირგვინი კეფაზე ვიწრო ბაბთებით არის შეკრული, რომლის ბოლოები ჰაერში ფრიალებს. ღვთაებას ფართო შუბლი აქვს, სწორი ლამაზი მოყვანილობის ცხვირი, წმინდა ნესტოებით. ცხვირი და შუბლი ერთ სწორ ხაზს ქმნის მკვეთრად გამოხატული პირი ფაქიზადაა შესრულებული; წინ წამოწეული, ენერგიული ნიკაპი აქვს.

დიდი თვალი რელიეფურადაა გადმოცემული; თვალის უბეები და წარბი მკრთალადაა გამოხატული.

ღვთაებას მაღალი კისერი აქვს, სწორი, მშრალი ხაზებით და ოდნავ შესამჩნევი რელიეფით შესრულებული. მხარი და მკერდის მცირე ნაწილი პირობითადაა გადმოცემული.

აპოლონის წინ, კისრის გასწვრივ, ნიკაპსა და გულ-მკერდს შორის, გამოხატულია კიფარა.

გამოხატულება უსიკოცხლო და მშრალია: იგი თითქმის მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. ანაბეჭდზე არათანაბარ რელიეფს იძლევა.

ინტალიო ჩამოსხმულია, ყალიბიდან ამოღების შემდეგ ოსტატს გამოხატულების დასამუშავებლად საჭრისი უზმარია. გამოხატულება მკვეთრად არის გამოსული. ჩანს პირი ფაქიზად შესრულებული დედნიდან არის აღებული. დედანი არათანაბარი სიღრმით ყოფილა ნაკვეთი, რელიეფი ზოგან უფრო დაბალი და ბრტყელია.

მსგავსი გამოხატულება იხ. Southesk: Carnegie, Catalogue of the collection of antique gems, London, 1908, ტ. I, ტაბ. IV, გამ. C 39.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—11 მმ, განი—10 მმ.

ბორი, 1938 წ., გრუნტული სამარხი № 2, სველე № 174.

ინტალიო იტალიკური გლიპტიკის ნიმუშია; იგი ძვ. წ. II—I საუკ. თარიღდება.

5 (ინვ. № 724)

ინტალიო თეთრი ფერის მინისა, ნახევრად გამჭვირვალე. ინტალიო ოვალურია, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია ათენა-პალადა ნახევრად პროფილში მარჯვნივ. ღვთაება საომარი ტან-საცმლითაა შემოსილი. თავზე ატიკური¹⁷ მუზარადი ახურავს; სახე არ უჩანს (მინა გაცვეთილია და იმის ბრალი უნდა იყოს). ათენა პეპლოსით არის შემოსილი. იდაყვში მოხრილ და ზეაპრობილ მარჯვენა ხელით შუბს ეყრდნობა. ძირს დაშვებულ მარცხენა ხელში მახვილი უჭირავს. ღვთაების ფეხებით მრგვალი მოყვანილობის ფარი დევს. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

ინტალიო ჩამოსხმულია. გამოხატულება მკრთალად არის გამოსული (თუ ირიზაციის ბრალია?). ჩანს დედანი, რომლიდანაც პირი აულიათ, არ ყოფილა ღრმად ნაკვეთი, ფაქიზი ნახელავია.

მსგავსი გამოხატულებები იხ. Furtwängler, Beschreibung der Geschlittenen Steine im Antiquarium, ტაბ. 54, გამ. 7246: 7235—7242 (მხოლოდ შინაარსით; სტილისტურად და დროით განსხვავდება).

დაცულობა: მინა საკმაოდ კარგად არის შენახული.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—10 მმ, ინტალიოს განი—9 მმ.

ბორი, 1938 წ., ორმოსამარხი № 1, სველე № 154.

ინტალიო იტალიკური გლიპტიკის ნიმუშს წარმოადგენს, ძვ. წ. II—I სს.

ბ. ბერძნულ-რომაული

6 (ინვ. № 856)

კამეა სამფენიან მინაზეა გაკეთებული. ქვედა ფენა მუქი იისფერია, შუა — თეთრი, ზედა — ყავისფერი. კამეა ოვალური მოყვანილობისაა.

¹⁷ იხ. Daremberg et Saglio, Dictionnaires des antiquités grecques et romaines, რეინაკის სტატია Galea, Кавѣ, გვ. 1443—1444.

მუქ იისფერ ფონზე გამოხატულია ნიკას ბიუსტი, პროფილში მარჯვნივ; დაბალი და ბრტყელი რელიეფით შესრულებული.

ღვთაების თმა იმგვარადაა განლაგებული თავზე და ისეთი თმის ვარცხნილობა აქვს გაკეთებული, რომ მცენარეული ორნამენტის სახეს მოგვაგონებს. გრძელი თმა კეთაზე მოზრდილ კონად აქვს შეკრული.

ნიკას ლამაზი მოყვანილობის ცხვირი აქვს, მკვეთრად გამოხატული ფაქიზი ნესტოებით; დაბალი შუბლი. ცხვირი და შუბლი ერთ მთლიან ხაზს ქმნის. პატარა პირი მკრთალადაა გამოხატული; მოკლე, ოდნავ წინ წამოწეული ნიკაპი აქვს. ფართოდ გაღებული თვალი რელიეფურად არის გამოხატული. ფაქიზად შესრულებული თვალის ქუთუთოები მკვეთრად ჩანს.

ღვთაების მაღალ და ლამაზი მოყვანილობის კისერს მანიაკი ამკობს—სქელ ზონარზე ოვალური მოყვანილობის, მოგრძო საკიდებია აცმული. ყურს დიდი ზომის საყურე უმშვენებს.

ფრთები ფაქიზადაა შესრულებული (ცალი ფრთა დაზიანებულია); ნაკრტენი ბრტყელი რელიეფითაა მოცემული. სახე, ფრთები და კისერი თეთრ ფენაზეა შესრულებული.

ნიკას პეპლოსი აცვია. პეპლოსი ყავისფერ ფენაზეა ამოჭრილი; სამოსის ნაოქები არაღრმა, ფაქიზი ღარებითაა გადმოცემული.

მინის ფენის ნაწილი ავარდნილია, ამიტომ გამოხატულება—ნიკას გულ-მკერდი დაზიანებულია. კამეა ჩამოსხმულია სამფენიანი მინისაგან. დედანი, რომლიდანაც პირი აულიათ, ბრტყელი და დაბალი რელიეფით ყოფილა შესრულებული. ჩამოსხმის შემდეგ ოსტატს გამოხატულების დასამუშაველად, აქა-იქ, საჭრისი უხმარია (თმაზე, მანიაკთან, თვალთან და ფრთაზე). ყალიბიდან ამოღების შემდეგ ოსტატს კამეა კარგად გაუსუფთავებია და შემოუკეთებია. პირი ფაქიზად და ოსტატურად ნაკეთები დედნიდან არის აღებული.

მსგავსი გამოხატულებიანი კამეები იხ. E. Babelon, Catalogue des camées antiques et moderne de la Bibliothèque Nationale, Paris, 1897, ტაბ. XIV, გამ. 132; Furtwängler, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium¹⁸, ტაბ. 67, გამ. 11184, 11187 (იხ. სურ. 2).

დაცულობა: კამეის პირი რამდენიმე ადგილას გატეხილი და გაბზარულია. ზოგან მინის ფენა ავარდნილია—ნიკას გულ-მკერდსა და ფრთასთან. მინა, სახელდობრ, ფონი ირიზებულია.

ზომა: კამეის სიგრძე—32 მმ, კამეის განი—26 მმ.

ახალდაბა, ახმეტის რ-ნი, მოპოვებულია 1948 წ. სავენახე მიწების გადაბრუნების დროს, გრუნტული სამარხი¹⁹.

ანალოგიური მასალის საფუძველზე კამეა ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკ. დასაწყისით თარიღდება. ამავე სამარხიდან არის მსგავსი კამეა ოქროს მედალიონში ჩასმული № 7.

7 (ინგ. № 555)

კამეა სამფენიან მინაზეა გაკეთებული. ოქროს მედალიონს ამკობს. ფენები შავი, მუქი ყავისფერი და თეთრია. კამეა ოვალური მოყვანილობისაა.

შავ ფონზე გამოხატულია ნიკას ბიუსტი, პროფილში მარჯვნივ, დაბალი და ბრტყელი რელიეფით შესრულებული.



სურ. 2

¹⁸ ბერლინის კამეა და ახალდაბაში მოპოვებული კამეა ერთმანეთის პირდაპირ ანალოგიას წარმოადგენს; ჩვენი აზრით, ისინი ერთი სახელისაგან არის გამოსული.

¹⁹ სამარხში აღმოჩენილია ოროდ I მონეტა (57—37 ძვ. წ.).

რამდენიმე ადგილას გაყოფილი თმა ღვთაებას უკან აქვს გადავარცხნილი და კეფაზე მოზრდილ კონად შეკრული. გაყოფის დატეხილი ხაზები ღრმა ღარებით არის გადმოცემული.

ნიკას დაბალი შუბლი აქვს; გრძელი, ღამაზი მოყვანილობის ცხვირი, მკვეთრად გამოხატული ნესტოებით. ცხვირი და შუბლი ერთ სწორ ხაზს ქმნის. ღვთაებას დიდი, ნუშისებრი მოყვანილობის ფართოდ გაღებული თვალი აქვს. თვალის ქუთუთოები ფაქიზად და მკვეთრად არის გამოხატული. მორკალული წარბი მკრთალადაა მოცემული. ნიკას ღამაზი მოყვანილობის პატარა პირი აქვს, წინ წამოწეული ენერგიული ნიკაპი; ღამაზ კისერს მანიაკი უმშვენებს. სქელ და წნულ ჯაჭვზე მოგრძო საკიდებია აცმული. ნიკას ყურზე თვალური მოყვანილობის გრძელი საყურე აქვს გაკეთებული.

ღვთაება კვართით არის შემოსილი, რომლის ნაოჭები არაღრმა ღარებით არის შესრულებული.

ნიკას მომრგვალებულკონტურიანი ფრთები აქვს; ნაკრტენის ოთხი წყება ფაქიზადაა გადმოცემული. ღვთაების სახე, მანიაკი, ფრთები და სამოსის ნაწილი თეთრ ფენაზეა გაკეთებული, კვართი და თმა ყავისფერ ფენაზე. ჩანს, თავის დროზე კვართი მთლიანად ყავისფერ ფენაზე ყოფილა გაკეთებული.

კამეა ჩამოსხმულია სამფენიანი მინისაგან. ჩამოსხმის შემდეგ ოსტატს გამოხატულება აქა-იქ (თმა, ფრთები, თვალი, მანიაკი) საჭრისით დაუმუშავებია. კამეა შესანიშნავად ნაკეთები დედნის პირს წარმოადგენს. ჩამოსხმის შემდეგ ოსტატს კარგად შემოუკეთებია თვალი.

ანალოგიური გამოხატულებები იხ. E. Babelon, Catalogue des camées antiques et moderne de la Bibliothèque Nationale, ტაბ. XIV, გამ. 132; Furtwängler, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, ტაბ. 67, გამ. 11184, 11187 (იხ. სურ. 2).

მედალიონი მუქი ყვითელი ფერის, სქელი ფურცლის ოქროსაგან არის გაკეთებული. მედალიონი მრგვალია, ბრტყელი; ნაპირზე ორი წვრილი სალტე აქვს დარჩილული, რომელთა შორის სქელი, ქდეებიანი მავთულია ჩასმული.

მედალიონის ცენტრში დარჩილულია თვალური მოყვანილობის, დაბალი, დაკბილულ ნაპირებიანი ბუდე. ბუდე კამეით არის შემკული. კბილები თვალს მჭიდროდ აქვს შემოჭედილი. ბუდის ძირს გარს უვლის მსხვილი გავარსის წყება და გრანატებისა და მინის თვლებით მოოჭვილი, თვალური მოყვანილობის დიდ-პატარა ბუდეები. ბუდის ნაპირები თვლებს მჭიდროდ ეკვრის (ყველა თვალი ამობურცულია). თითოეული ბუდის ძირს გრეხილი მავთული ავლია. ბუდეებს შორის მოთავსებული არე გრეხილი მავთულისაგან გაკეთებული სპირალებით არის შემკული, რომელსაც თავსა და ბოლოში თითო მსხვილი გავარსი აქვს დარჩილული (თვალით მოოჭვილი ბუდე თორმეტი).

მედალიონის ქვედაპირი სადაა, ნაპირზე ხანგამოშვებით ცხრა მრგვალი ყუნწი აქვს დარჩილული. ჩანს სამკაული ტანსაცმელზე დასაკერებლად იყო განკუთვნილი (იხ. სურ. 3).

დაცულობა: კამეა ორგან გატეხილია, მინა ადგილ-ადგილ დაკენკილია. რამდენიმე თვალი ბუდიდან ამოვარდნილია, ზოგი ბუდე დეფორმირებულია; ბუდის ქვედაპირი ზოგან დაჭყლენილია.

ზომა: კამეის სიგრძე—31 მმ,

კამეის განი—22 მმ,


ბუდის სიგრძე—33 მმ,

ბუდის განი—28 მმ,

მედალიონის დიამეტრი—54 მმ,

გრანატებით შემკული ბუდეების ზომა—9×6 მმ,

7×5 მმ, 6 მმ რგოლების დიამეტრი—2 მმ.



სურ 3

ახალდაბა, ახმეტის რ-ი. მოპოვებულია 1948 წ., სავენახე მიწების გადაბრუნების დროს, გრუნტული სამარხი²⁰.

ანალოგიური მასალის საფუძველზე კამეა ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკ. დასაწყისით თარიღდება. ამავე სამარხიდან არის კამეა № 6.

დ. რომაული

ზ (ინვ. № 727)

ინტალიო მოყვითალო ყაეისფერი მინისა, ნახევრად გამჭვირვალე, ოქროს ბეჭედს აქობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია სამი ნილაბი. ცენტრში, პირდაპირ, ტრაგიკული ნილაბი; მარცხნივ (პროფილში მარჯვნივ გამოხატული)—კომიკური ნილაბი, მარჯვნივ (პროფილში მარცხნივ გამოხატული)—სილენის ნილაბი. ნილაბები საყრდენზე არის მოთავსებული. საყრდენი გრძელია და ვიწრო.

ტრაგიკული ნილაბი პირდაღებულია; პირი ოთხკუთხა მოყვანილობისაა. თვალების ნაცვლად გულამოღებული წერტილებია მოცემული; შუბლი საგრძნობლად დიდი აქვს, გრძელკაფებიანია. კაფები ფაქიზად არის დამუშავებული.

სილენს გრძელი და ოდნავ ხვეული წვერი აქვს, წინ წამოწეული ფართო შუბლი, საკმაოდ ფაქიზად შესრულებული თვალი და პირი.



კომიკური ნილაბიც პირდაღებულია, მაღალი თმისფარცხნილობა აქვს—ზევითკენ ამოდლებული, თითქმის სამკუთხედის მოყვანილობისა. თვალი ფართოდ აქვს გაღებული, გრძელცხვირიანია. მოკლე ნიკაპი მკვეთრად არის წინ წამოწეული.

ინტალიო ჩამოსხმულია, გამოხატულება მკვეთრად არის გამოხული, ანაბეჭდზე საკმაოდ ბრტყელ და დაბალ რელიეფს იძლევა. ჩანს, გემა, რომელიდანაც ოსტატს პირი აუღია, არ ყოფილა ღრმად ნაკვეთი, ამასთანავე მეტად წმინდა და ფაქიზი შესრულებული.

მსგავსი გამოხატულებები ანტიკურ გლიპტიკაში ფართოდაა გავრცელებული. იხ. Furtwängler, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, ტაბ. 37, გამ. 5296, 5302, 5135; Fossing, Catalogue of the antique engraved gems and cameos, Copenhagen, MCMXXIX, ტაბ. IV, გამ. 289; Reinach, Pierres gravées, Paris, 1895, ტაბ. 23 და 24, გამ. 47², 47⁴, 47⁵; მონეტებზე მსგავსი გამოხატულება იხ. Bernhart, Handbuch zum Münzenkunde der Römischen Kaiserzeit, München, 1926, ტაბ. 43, გამ. 1 (მონეტაზე ორი ნილაბია გამოხატული: კომიკური და ტრაგიკული).

ქვის ძეგლებიდან — იხ. აგრეთვე არქიტექტურული დეტალი, I—II სს. რელიეფი, სახელმწიფო ერმიტაჟი. რომაული ხელოვნების გამოფენა, ტრაგიკული ნილაბი.

ბეჭედი ფურცლოვანი ოქროსაგან არის გაკეთებული, დიდი ზომისაა, ღრუ, მასტიკით უნდა იყოს ამოვსებული. საკმაოდ დიდი რკალი მხრებთან ფართოვდება და ოდნავ პირგადაშლილ, მრგვალი მოყვანილობის ბუდეში გადადის. ბუდე დაბალია: ნაპირზე „მუხლიანი“ საღებ აქვს დარჩილული, რომლის ნაპირი თვალზე მჭიდროდ არის შემოჭვდილი. ბუდე ძირისკენ თითქოს შევიწროებულია და ბეჭდის რკალისაგან მკვეთრი ღარით არის გამოყოფილი. რკალის ზედაპირი რელიეფურია; შიდაპირი ბრტყელი აქვს. ბუდის ძირთან რკალი გაფართოებული და ოდნავ შედრეკილია (სურ. 4).



სურ 4

²⁰ სამარხში ოროდ I მონეტაა მოპოვებული (ძვ. წ. 57—37).



ბექედი ე. წ. ელინისტურ-რომაული ბექედების ტიპს მიეკუთვნება. შდრ. Marshall, Catalogue of the finger rings greek, etruscan and roman, ტაბ. XIX, გამ. 732; ტაბ. XII, გამ. 405. დაცულობა: ინტალიო სამად არის გატეხილი. თვალი გახეხილია. ბექედი ადგილ-ადგილ დაჰყლეტილია, ოდნავ დეფორმირებულიც უნდა იყოს.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—12 მმ, რკალის უმც. განი—3 მმ,
 ინტალიოს განი—10 მმ, ბუდის დიამ.—15 მმ,
 ბექედის სიმაღლე—25 მმ, თვალბუდის სიგრძე—14 მმ,
 ბექედის დიამ.—20 მმ, თვალბუდის განი—13 მმ,
 რკალის უდ. განი—9 მმ,

საცხური, თერჯოლის რ-ნი, მოპოვებულია 1951 წლის აპრილში, მიწის სამუშაოების დროს. გამოხატულების სტილი, მასალის ერთგვარობა ფურტვენგლერისეულ გემებთან და ბექედის ფორმა უფლებას გვაძლევს ინტალიო ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკ. დავათარილოთ²¹.

9 (იხვ. № 682)

ინტალიო ნარინჯისფერი მინისა, ბრინჯაოს ბექედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია წინა თათებზე წაჩოქილი ლომი (?), პროვილში მარჯვნივ, თავი პირდაპირ უნდა ჰქონდეს მობრუნებული. გამოხატულება ძალიან მკრთალად ჩანს.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბექედზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

ინტალიო ჩამოსხმულია, გამოხატულება მკრთალადაა გამოსული. ჩანს პირი არაღრმად ნაკვეთ და ბრტყელი რელიეფით შესრულებული გემიდან აულიათ.

ბექედი ფურცლოვანი ბრინჯაოსაგან არის გაკეთებული. ვიწრო რკალი „მხრების“ მიმართულებით ფართოვდება და უშუალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის დაბალ ბუდეში. ბუდე შიგ ბექედშია (იხ. სურ. 5) ამოჭრილი. რკალს რელიეფური ზედაპირი აქვს, ბრტყელი შიდაპირი. მსგავსი ფორმის ბექედები ახ. წ. I საუკ. თარიღდება. შდრ. Henkel, Die römischen Fingerringe der



სურ. 5

Rheinlande, Berlin. 1913, ტაბ. IX, გამ. 166, 166a, 166 b.

დაცულობა: თვალი ირიხებულია, მკირედე; ამის გამო გამოხატულებამ სიმკვეთრე დაჰკარგა. ბექედი გატეხილია, რკალის 1/3 აკლია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—13 მმ,
 ინტალიოს განი—9 მმ,
 ბექედის დიამ.—18 მმ,
 ბუდის სიგრძე—14 მმ,
 ბუდის განი—9 მმ.

თბილისი, ღრმა-ღელე, შემთხვევითი მონაპოვარი მიწის სამუშაოების დროს. ბექედის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. I საუკ. თარიღდება.

²¹ როგორც ჩანს, ჩვენი ინტალიო და ფურტვენგლერის მიერ გამოცემული ინტალიოები რომელიღაც ერთი სახელოსნოდან არის განოსული.

ინტალიო მუქი ფერის სარდერისა, რკინის ბეჭდის ფრაგმენტს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, ბუდეში ღრმად ზის.

პირზე გამოხატულია საომარი საქურვლით შემოსილი არესი (მარსი), 2/3 მარჯვნივ მიბრუნებული. ღვთაების თავი პროფილში მარცხნივ არის მოცემული (მარჯვნივ აქვს მიბრუნებული), სახე სუმარულად არის შესრულებული. არესის თავს კორინთული მუზარადი ამკობს, ტანზე თორნი აცვია; წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში გამარჯვების ქალღმერთი ნიკა უდგას, გვირგვინით ხელში. ზეაპყრობილი მარცხენა ხელით შუბს ეყრდნობა. ღვთაების ფეხებით რელიეფურზედაპირიანი ფარი დგას.

მხრებზე არესს ქლამიდა აქვს წამოსხმული. ნიადაგის გრძელი ზოლი მკვეთრი ღარიტაა გამოხატული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზგა ამოჭრილი, არაღრმად და ბრტყელი რელიეფით, სქემატურად შესრულებული. საკმაოდ ტლანქი ნახელავია: ოსტატის დაუდევრობა ეტყობა. ქვა გამოხატულებითურთ კარგად არის გაპრიალეებული (ნიკა გამონაკლისს შეადგენს, ოსტატს იგი არ გაუპრიალეებია). ქვა კარგად არის გათლილი.

მსგავსი გამოხატულებები იხ: Furtwängler, Beschreibung..., ტაბ. 54, გამ. 7272 (სტილისტურად მსგავსია, სიუჟეტში მცირეოდენი განსხვავებაა); Reinach, Pierres gravées, ტაბ. 63, გამ. 63^b.

რკინის ბეჭედი ფრაგმენტირებულია. ჩანს რკალი ვიწრო ყოფილა, ზედაპირი რელიეფური ჰქონია. რკალი უშუალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის დაბალ ბუდეში. ბეჭედს ოდნავ შედრეკილი ძირი ჰქონია. რკალს ქვედა ნაწილი აკლავს. ამიტომ ბეჭდის ფორმის სრული აღდგენა შეუძლებელია. მსგავსი ფორმის ბეჭედები ახ. წ. II საუკ. თარიღდება. შდრ. მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები I, სამთავროს სამაროვანში შობოვებული გემების კატალოგი (1940—41 და 1946—48 წწ.), თბილისი, 1954, ტაბ. 1, გამ. 9.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული, ბეჭდისაგან დარჩენილია მეტად დაჭანგული ბუდე და რკალის ნაწილი („მხრები“).

ზომები: ინტალიოს სიგრძე—17 მმ, ბეჭდის დიამ. დაახლ.—19 მმ. ინტალიოს განი—13 მმ.

კლდეით, 1941 წ., აქტის № 16 გ.

სტილისტური თავისებურებისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. II საუკ. თარიღდება.

11 (ინვ. № 817)

ინტალიო, ფრაგმენტი, მოწითალო სარდინისა. ჩანს ინტალიო ოვალური მოყვანილობის ყოფილა, ბრტყელი პირითა და ამოზურცული ქვედაპირით; პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი საკმაოდ დაქანებული აქვს.

პირზე გამოხატულების ზედა ნაწილია შერჩენილი. გამოხატულია მეომარი, წელს ზევით, პროფილში მარცხნივ 2/3-ით; თავს მუზარადი უმკობს, მარჯვენა ხელით შუბს ეყრდნობა; მხრებზე წამოსასხამი აქვს წამოსხმული. მეომრის სახე სუმარულად არის შესრულებული. საერთოდ საკმაოდ სქემატური ნახელავია.

მეომრის წინ, იდაყვის გასწვრივ, ოვალური მოყვანილობის ნიშანია ამოკვეთილი. გამოხატულება ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზგა ამოჭრილი, არაღრმად; ბრტყელი რელიეფითაა შესრულებული. სქემატური და ტლანქი ნახელავია. პირი გამოხატულებითურთ კარგად არის გაპრიალეებული, ელვარებს. ქვედაპირი ოსტატს არ გაუპრიალეებია. ქვა კარგადაა გათლილი.

ჩანს ინტალიოს რკინის ბუდე ჰქონია, ქვედაპირზე რკინის ჟანგის კვალია შერჩენილი.
დაცულობა: ინტალიოსგან პატარა ფრაგმენტია დარჩენილი.
ზომები: ფრაგმენტის სიგრძე—7 მმ, განი—12 მმ, სიმაღლე—4 მმ.
კლდეები, 1941 წ., აქტის № 23.
სტილის მიხედვით ახ. წ. II საუკუნის ნახელავი უნდა იყოს.

12 (ინგ. № 816).

ინტალიო მოწითალო ფერის სარდონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, ქვედაპირისკენ ვიწროვდება; პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი დაბალი და დაქანებული აქვს.

პირზე გამოხატულია არესი (მარსი), ოდნავ მარჯვნივ მიბრუნებული; სხეულის ზედა ნაწილი (გულ-მკერდი) პირდაპირ არის მოცემული, თავი პროფილში მარცხნივ. ცხვირი, პირი და თვალი სქემატური ხაზებით არის გადმოცემული.

არესი საომარი საქურვლით არის შემოსილი. თავზე კორინთული მუზარადი ახურავს, ტანზე თორნი აცვია. ღვთაება ზეაპყრობილ მარჯვენა ხელით შუბს ეყრდნობა, ძირს დაშვებული მარცხენა ხელით რელიეფურზედაპირიან ფარს. სხეული კუნთებით აქვს დაფარული. ნიადაგის ზოლი მკვეთრად ჩანს. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. ანაბეჭდზე დაბალ და მკვეთრ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზვაზეა ამოჭრილი, არაღრმად, მაგრამ მკვეთრად. ნახელავი არ გამოირჩევა სიფაქიზით; გულმოდგინე ნამუშევარია. ქვა ოსტატს კარგად გაუპრიალებია, გამოხატულება მჭრქალად არის გაპრიალებული.

ანალოგიური გამოხატულებები გავრცელებულია რომაული დროის გლიპტიკაში. იხ. Reinach, *Pierres gravées*, ტაბ. 63, გამ. 65^b; Furtwängler, *Beschreibung...*, ტაბ. 24, გამ. 2682; საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ძეგლთაგან იხ. M. II. Максимова, *Геммы из некрополя Микеты-Самтавро*, ტაბ. 1, გამ. 20, 33.

დაცულობა: ქვა კარგად არის შენახული. ჩანს იგი რკინის სამკაულს ამკობდა, კვალია დარჩენილი.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—16 მმ, ინტალიოს განი—13 მმ, ინტალიოს სიმაღლე—2 მმ.

კლდეები, 1941 წ., აქტის № 16 დ.

სტილისტური თავისებურების მიხედვით ინტალიო ახ. წ. II საუკ. თარიღდება.

13 (ინგ. № 822)

ინტალიო წითელი ფერის იასპისა, რკინის ბეჭდის ფრაგმენტში ზის. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი პირი აქვს. პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი მკვეთრად დაქანებული.

პირზე გამოხატულია ტიხე-ფორტუნა 2/3 მარჯვნივ მიბრუნებული; თავი პროფილშია მოცემული.

ღვთაების თავს დაბალი მოდა ამკობს. თმა გვირგვინით აქვს ჩახვეული თავის ირგვლივ; სახე მეტად სუმარულად არის გადმოცემული. ფორტუნას მრავალნაოჭიანი, გრძელი და უსახელო კვართი აცვია, წელს ზემოთ ვიწრო სარტყელით გადაქერილი. კვართი ნაწილობრივ თეძოებზეა გადმოფენილი; სამოსის ნაოჭები სქემატური ხაზებით არის შესრულებული.

ფორტუნას მარჯვენა ხელში გაუშლელი ყაყაჩოს და პურის თავთავების კონა უჭირავს; ამავე ხელით მის ფეხთით მდგომ გუთანს ეყრდნობა. მარცხენა ხელში ქალღმერთს დიდი ზომის სიუხვის

ყანწი უჭირავს. ამავე მკლავზე წამოსასხამი აქვს გადაკიდებული. ნიდაგის გრძელი ზოლი მკვეთრად ჩანს. სქემატურად შესრულებული გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზნა ამოჭრილი, არაღრმად და მკვეთრად. ნახელავს გაბედული ხელი ეტყობა; წმინდად შესრულებული გულმოდგინე ნამუშევარია. ოსტატს გამოხატულება მქრქალად გაუპრიალეობა; ფონი პრიალეებს. ქვას წესიერი ფორმა აქვს მიცემული.

მსგავსი გამოხატულებები ფართოდაა გავრცელებული რომაული ხანის გლიბტიკაში. იხ. Fossing, Catalogue of engraved gems, ტაბ. VIII, გამ. 658; Furtwängler, Beschreibung..., ტაბ. 54, გამ. 7155; Richter, Engraved gems, New York, MCMXX, ტაბ. 79, გამ. 370, 373; Walters, Catalogue of engraved gems and cameos, ტაბ. XXIII, გამ. 1729, 1732; A. A. Захаров, Геммы и античные перстни Гос. Исторического музея, ტაბ. VIII, გამ. 172. ჩრდილოეთ შავი-ზღვისპირეთის გემებიდან იხ. Т. В. Кибальнич, Южно-Русские геммы, Берлин, 1910, ტაბ. III, გამ. 104. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ გემათაგან იხ. М. И. Максимова, Геммы из некрополя Микеты-Самтавро, ტაბ. 1, გამ. 14; მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. I, გამ. 4.

ბეჭდისაგან დარჩენილია დაჯანგული და დეფორმირებული ნატეხი — ბუდე, რკალის პატარა ნაწილით. ოვალური მოყვანილობის დაბალი ბუდე უშუალოდ გადადის ბეჭდის რკალში. ბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი, ჩანს დაბალი და არაღრმა ყოფილა. ბეჭედი ახ. წ. I საუკ. ბოლო წლებითა და II საუკ. დასაწყისით თარიღდება, შდრ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 12, სურ. 3 a, აგრეთვე, Henkel, Die römischen Fingerringe der Rheinlande, ტაბ. LVI, გამ. 1453.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული. ბეჭდისაგან დაჯანგული და დეფორმირებული ბუდე დარჩენილი, რკალის პატარა ნაწილით.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—12 მმ, ინტალიოს განი—9 მმ, ფრაგმენტის ზომა—28×15 მმ.

კლდეით, 1942 წ., სამარხი № 2.

სტილისტური თავისებურებისა და ანალოგიური მასალის საფუძველზე ინტალიო ახ. წ. I საუკ. ბოლო წლებითა და ახ. წ. II საუკ. დასაწყისით თარიღდება.

14 (იხვ. № 818)

ინტალიო მოწითალო ფერის სარდიონისა, ფრაგმენტირებულ რკინის ბეჭედში ზის. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია ათენა-პალადა, პირდაპირ, თავი მარჯვნივ აქვს მიბრუნებული (პროფილში მარცხნივაა მოცემული).

ღვთაებას თავზე კორინთული მუზარადი ახურავს, რომელიც შუბლს უფარავს, სახე სუმარულად არის გადმოცემული; საკმაოდ მაღალ კისერს სწორი და ფართო ღარი გამოხატავს. ათენას გრძელი, უსახელო და წელს ზემოთ გადაჭერილი კვართი აცვია. კვართი თეძოებთან გადმოფენილია; ქსოვილის ნაკვები სწორი ხაზებით არის გადმოცემული.

ღვთაება სამსხვერპლოს წინ დგას, რომელზედაც ცეცხლი ანთია; ალი მკვეთრად არის გამოხატული, ათენას სამსხვერპლოსკენ გაწვდილ მარჯვენა ხელში პატარა თიალა (patra) უჭირავს („ზედაშეს“ შეწირვა ღვთაებისათვის), ძირს დაშვებულ მარცხენა ხელში—შუბი და ფარი. ფარი მრგვალი მოყვანილობისაა; მთელი ზედაპირი ვიწრო ღარებითაა დასერილი. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე საკმაოდ მაღალ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზნა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად და მკვეთრად. სქემატური ნახელავია, გულმოდგინედ შესრულებული. ფონი კარგად არის გაპრიალეებული; გამოხატულება ოსტატს მქრქალად გაუპრიალეობა.

ათენას მსგავსი გამოხატულებები გავრცელებულია რომაულ გლიბტიკაში, იხ. Furtwängler, Beschreibung..., ტაბ. 54, გამ. 7228—7231 (სიუჟეტში მცირეოდენი განსხვავება); Fossing, Catalogue of engraved gems, ტაბ. VIII, გამ. 601 (სიუჟეტში სხვაობა); Southesk: Carnegie, Cata-

logue of gems, ტ. I, ტაბ. III, გამ. C. 13; A. A. Захаров, Геммы Гос. Исторического музея, ტაბ. VIII, გამ. 141.

ბეჭდისაგან ფრაგმენტი დარჩენილი. ოვალური და დაბალი ბუდე უშუალოდ გადადის რკალში. ბუდე შიგ ბეჭედში არის ამოჭრილი. ჩანს ბეჭედს საკმაოდ ვიწრო რკალი ჰქონია. ოდნავ ამობურცული ზედაპირითა და ბრტყელი შიდაპირით. ბეჭედი დიდი ზომისა უნდა ყოფილიყო. მსგავსი ბეჭედები ახ. წ. II საუკ. თარიღდება. შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. I, გამ. 9.

დაცულობა: თვალი კარგად არის შენახული. ბეჭდისაგან დარჩენილია მეტად დაჟანგული და დეფორმირებული ფრაგმენტი—ბუდე და „მხრების“ ნაწილი. რკალს 2/3 აკლია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—15 მმ, ინტალიოს განი—11 მმ, ბეჭდ. დაახლ. დიამ.—18 მმ.

კლდეით, 1941 წ., აქტის № 16 გ.

სტილისტური თავისებურებისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. II საუკ. თარიღდება.

15 (ინგ. № 738)

ინტალიო მოწითალო ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი. ქვედაპირისკენ ფართოვდება. პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს.

პირზე გამოხატულია ათენა-პალადა, 3/4 პროფილში მარცხნივ. თავი სრულ პროფილში აქვს მოცემული. ღვათებს თავზე ატიკური მუზარადი²² ახურავს. სახე სუმარულად არის გადამოცემული.

ღვათებს თეძოვებთან გადმოფენილი, მრავალნაკეციანი პეპლოსი აცვია. პეპლოსი წელზე ვიწრო სარტყლით არის გადაჭერილი. ტანსაცმლის ნაკეციები სქემატური ხაზებითაა შესრულებული. ათენა ზედაპრობილ. იდაყვში მოხრილ მარჯვენა ხელით შუბს ეყრდნობა; ძირს დაშვებულ მარჯვენა ხელში მრგვალი, ამობურცულპირიანი ფარი უჭირავს.

მოკლე ნიადაგის ზოლი მკვეთრადაა გამოხატული. გამოხატულება თითქმის მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზე ამოჭრილი, მკვეთრად და არალრმად. წმინდა და სუფთა ნახელავია. ქვა კარგად არის გაპრიალებული. გამოხატულება ოსტატს მკრქალად გაუპრიალებია.

მსგავსი გამოხატულებები იხ. რომაულ გემებზე. Reinach, Pierres gravées, ტაბ. 31, გამ. 62^ა. დაცულობა: ქვა კარგად არის შენახული.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—14 მმ, ინტალიოს სიმაღლე—4 მმ, ინტალიოს განი—13 მმ.

სოფ. როქი, გორის რ-ნი, შემთხვევითი მონაპოვარი.

ამოჭრის მანერისა და სტილის მიხედვით ინტალიო ახ. წ. II საუკ. თარიღდება.

16 (ინგ. № 825)

ინტალიო მუქი ფერის სარდერისა, ვერცხლის ფირფიტაზე დარჩილულ ელექტრუმის ბუდეს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია მრგვალ და დაბალ სამსხვერპლოზე მჯდომარე არწივი. არწივს თავი მარჯვნივ აქვს მიბრუნებული (პროფილში მარჯვნივ არის მოცემული), ნისკარტში მრგვალი გვირ-

²² იხ. Daremberg et Saglio, Dictionnaire des antiquités grecques et romaines, რეიზის სტატია Galea, კაფ. გვ. 1443—1444.

გვინი უჭირავს; მკვეთრად გამოხატული თვალი დიდი ზომისა აქვს. დიდი, ოდნავ გაწლილი ფრთების ნაკრტენს წვრილი, რელიეფური ზოლები გამოხატავს. გულ-მკერდსა და თავ-კისერზე ნაკრტენი მოკლე-მოკლე ხაზებით არის გადმოცემული, ძლიერი ბრჭყალები თვალსაჩინოდაა გამოხატული.

მარჯვნიდან არწივს გამარჯვების ქალღმერთი ნიკა უახლოვდება. ღვთაებას ფრთები მოკეცილი აქვს. სახე სუმარულადაა გადმოცემული. იდაყვში მოხრილ, ზეაპყრობილ მარჯვენა ხელში ნიკას გვირგვინი უჭირავს, მარცხენა ხელში—შუბი; მხარზე პალმის ხე აქვს გადებული.

ღვთაებას წელთან გადმოფენილი პეპლოსი აცვია, ქსოვილის ნაკეცები სქემატურადაა მოცემული. სამოსი ღვთაებას ფეხებს მთლიანად არ უფარავს.

მარცხენა მხარეს, მინდორში, ლეგიონის ნიშანი დგას, ბრტყელი რელიეფით შესრულებული (იხ. შესავალი, გვ. 8).

გამოხატულება დაზგაზა ამოჭრილი, ღრმად და მკვეთრად. წმინდა ნახელავია, გაბედული ხელით შესრულებული. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიანებული; გამოხატულება ოსტატს მქრქალად გაუპრიანდება.

რომაულ გლიპტიკაში დაახლოებით მსგავსი გამოხატულებები გავრცელებულია (პირდაპირი ანალოგია ჯერჯერობით ვერ მოვეუბნეთ). იხ. A. A. Захаров, Геммы Гос. Исторического музея, ტაბ. IX, გამ. 222 (შდრ. არწივი); Fossing, Catalogue of gems, ტაბ. XXI, გამ. 1819 (შდრ. არწივი, სტილისტურად დიდი მსგავსება); Walters, Catalogue of gems and cameos, ტაბ. XXXII, გამ. 3388 (შდრ. არწივი); ტაბ. XXIII, გამ. 1731 (სიუჟეტში განსხვავებაა. სტილისტურად მსგავსია). ნიკა შდრ. ერმიტაჟში დაცულ ქალცედონის ინტალიოზე ამოჭრილ ნიკას № 1382.

ელექტრუმის ოვალური ბუდე, რომლის ვიწრო ნაპირი თვალზეა შემოჭედილი, სამსკვალით არის დამაგრებული ბრტყელ, სწორკუთხედის მოყვანილობის ვერცხლის ფირფიტაზე. ფირფიტას კუთხეებში ნახვრეტი ჰქონია (ამჟამად ორი ნახვრეტი დარჩენილი); ნახვრეტებში ვერცხლისავე სამსკვალებია გაყრილი. ჩანს ფირფიტა ორმაგი ყოფილა (რამდენიმე ნატეხია შერჩენილი). (იხ. სურ. 7). გემით შემკული მედალიონი სამარხში მოპოვებული ხმლის ქარქაშის ერთ-ერთ სალტეს ამკობდა (ხმლის ვადასთან).



სურ. 6

დაცულობა: ინტალიოს პირი რამდენიმე ადგილას ვაკაწრულია, მცირედ. ელექტრუმის ბუდე დაწყლულია, ვერცხლის ფირფიტა ნაკლული; ლითონი რეკრისტალიზებულია.

- ზომები: ინტალიოს სიგრძე—20 მმ, ინტალიოს განი - 15 მმ.
- ფირფიტის სიგრძე—43 მმ, ბუდის სიგრძე—26 მმ,
- ფირფიტის განი—17 მმ, ბუდის განი—16 მმ,
- ნახვრეტის დიამ.—32 მმ, ბუდის სიმაღლე—4 მმ.
- სამსკვალის სიგრძე—7 მმ, 6 მმ.

კლდეით, 1942 წ., სამარხი № 3, აქტის № 43²²ა.
სტილისტური თავისებურების მიხედვით ინტალიო ახ. წ. I საუკ. ბოლო წლებითა და ახ. წ. II საუკ. უნდა დათარიღდეს. ინტალიოს რომაული ლეგიონის ნიშნად მივიჩნევთ.

17 (იხვ. № 692).

ინტალიო თავლისფერი ქალცედონისა, პატინირებულია (ქვას თხელი თეთრი ფენა აქვს გადაკრული, თითქმის მთლიანად, და ამიტომ აჭრელებულია). ინტალიო ოვალური მოყვანილობისა, ამობურცული პირი აქვს. პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი ქვედაპირის მიმართულებით მკვეთრად არის დაქანებული, ქვედაპირი ბრტყელია.

²²ა ხეობსენებული გემა და გემები №№ 1, 10, 11, 12, 13, 14, 19 გამოცემული აქვს გ. ლომთათიძეს, იხ. კლდე-ეთის სამაროვანი, თბილისი, 1957. განსაზღვრა ჩვენია.

პირზე გამოხატულია ომში გამარჯვების სცენა. ცენტრში საომარ საჭურველში შემოსილი მეომარი დგას, რომელსაც თავზე ატიკური მუზარადი ახურავს, გულ-მკერდსა და მუცელს აბჯარი უფარავს, ფეხზე თორნი აცვია, ასევე ხელებზე. მოკლე კვართის ნაოქები სწორი ხაზებით არის გადმოცემული. მეომარს მხრებზე ქლამიდა აქვს წამოსხმული; იგი მარჯვენა ხელით მის ფეხთით მდგომ ამობურცულ მრგვალ ფარს ეყრდნობა, ზეაპრობილი მარცხენა ხელით—შუბს. შუბის პირი მიწას ებჯინება.

მეომარი რომაელია (ამას მისი ჩაცმულობა ადასტურებს); თავი მარცხნივ აქვს მიბრუნებული (პროფილში მარჯვნივ გამოხატული), მის წინ მდგომ ტროფეის უყურებს, მეომრის თავი საკმაოდ სუმარულად არის შესრულებული, სახის ნაკვთების ცალ-ცალკე გამოყოფა ძნელდება, იგი წვერიანი უნდა იყოს.

მეომრის მარჯვენა და მარცხენა მხარეს თითო ტროფეი არის აღმართული; ტროფეები პირდაპირ არის გამოხატული.

ტროფეების წინ ტყვეები დგანან. ტყვეები ბარბაროსები არიან. მარჯვენა ტროფეის ძირთან ხელბეჭკრული ტყვე არის გამოხატული, პირდაპირ. ტყვე თავშიშველია, მოკლე ნაოჭიანი კაბა აცვია, მაღალყელიანი ფეხსაცმელი; ხელები ზურგზე აქვს შეკრული.

მარცხენა ტროფეის ძირთან მუხლმოდრეკილი ტყვე არის გამოხატული, პროფილში მარცხნივ, გამარჯვებულ მეომარს შესტყერის. ამ ტყვესაც ზურგზე აქვს შეკრული ხელები. გრძელი კაბა აცვია, ქვინტიანი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი; თავზე რბილი ქუდი უნდა ეხუროს. ნიადაგის გრძელი ზოლი მკვეთრად არის გამოხატული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და მკვეთრად, გულმოდგინე და სუფთა ნახელავია, გაბედული ხელით შესრულებული, მაგრამ ოსტატობის მხრივ კი არ გამოირჩევა. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული, გამოხატულება ოსტატს მქრქალად გაუპრიალებია.

დაკულობა: პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—20 მმ, ინტალიოს სიმაღლე—8 მმ.

ინტალიოს განი—16 მმ,

ბოლნისი, შემთხვევითი მონაპოვარი.

ახ. წ. II საუკ.

18 (ინგ. № 725)

ინტალიო თეთრი ფერის მინისა, ოვალურია, ბრტყელი; თხელი ფენისაგან არის გაკეთებული.

პირზე გამოხატულია ლედა და გედი. ლედა ტიტველია, ზურგით დგას. თავი პროფილში მარჯვნივ აქვს მიბრუნებული. გედი ფრთაგაშლილია, მარჯვენა ფრთით ლედას მარცხენა მხარს ეხება.

ლედას თავი სუმარულად არის გადმოცემული; პროპორციები მოკლე აქვს, ცალკეული ნაკვთების გარჩევა შეუძლებელია. გედს მომრგვალებულკონტურიანი დიდი ფრთები აქვს. გამოხატულება მთლიანად აესებს ინტალიოს პირს.

პირი გაცვეთილია, ამის გამო გამოხატულებამ სიმკვეთრე დაჰკარგა.

ინტალიო ჩამოსხმულია, გამოხატულება არ არის ღრმა; ყალიბი ბრტყელი რელიეფით შესრულებული ინტალიოსგან აულიათ. ჩანს დედანი საკმაოდ კარგი ნახელავი ყოფილა.

ყალიბიდან ამოღების შემდეგ ინტალიო ოსტატს საჭრისით დაუმუშავებია. თვალი კარგად არის შემოსწორებული.

ანალოგიური სიუჟეტი რომაულ გლიბტიკაში საკმაოდ ხშირია. იხ. Reinach, *Pierres gravées*, ტაბ. 76, გამ. 70; Furtwängler, *Beschreibung...*, ტაბ. 23, გამ. 2478; Imhof-Blümer und Otto Keller, *Tier und Pflanzenbilder auf Münzen und Gemmen*, Leipzig, 1889, ტაბ. XXII, გამ. 25, 28.

დაცულობა: თვალი ადგილ-ადგილ ატკეცილია, პირი გაცვეთილი აქვს.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—11 მმ, განი—9 მმ.

ბორი, 1938 წლის მონაპოვარი, ორმოსამარხი № 2.

ანალოგიური მასალისა და სტილისტური თავისებურების საფუძველზე (მოკლე პროპორციები) ინტალიო ახ. წ. II საუკ. თარიღდება.

19 (ინგ. № 819)

ინტალიო მოცისფრო ფერის მინისა, გამჭვირვალე. ბრინჯაოს ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალურია, ბრტყელი, თხელი ფენისაგან გაკეთებული.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი აფროდიტე ანადიომენე (Αναδιόμηνε), ნახევრად მარჯვნივ მიბრუნებული, თავი პროფილში მარცხნივ აქვს მოცემული. დეათება ზღვის ქათიდან არის ამოსული, ტიტველია; ორივე ხელით თმას იწურავს. ქალ-ღმერთის სახე სუმარულად არის გადმოცემული. ჩანს თავს დიადემა უმკობდა. თავის ნაწილი დაზიანებულია, ამიტომ დიადემის ფორმა ძნელი დასადგენია.

აფროდიტეს გვერდით, მარცხენა მხარეს, პატარა ეროსი დგას, პროფილში მარჯვნივ, რომელსაც ზეაპრობილ ხელში სარკე უნდა ეჭიროს. აფროდიტეს მარჯვენა ფეხით ლუთერი დგას. ლუთერის ნაპირზე ფრინველი ზის; მტრედი უნდა იყოს. ფრინველი სუმარულადაა შესრულებული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ და საკმაოდ ბრტყელ რელიეფს იძლევა.


ინტალიო ჩამოსხმულია; გამოხატულება მკვეთრად არის გამოსული. ოსტატს ყალიბი საკმაოდ ტლანქად ნაკეთები გენიდან აულია, ჩანს, დედანი ნახელავის მხრივ არ გამოიჩინოდა დიდი სიფაქიზითა და ოსტატობით. ინტალიო ყალიბიდან ამოღების შემდეგ კარგად არის შემოსწორებული და შემოკეთებული.

მსგავსი გამოხატულება გავრცელებულია რომაულ გლიბტიკაში. იხ. Richter, Catalogue of engraved gems, ტაბ. 71, გამ. 316 (შინაარსი); Walters, Catalogue of engraved gems and cameos, აღწერილობა 1440; Furtwängler, Die antiken Gemmen, ტაბ. XLIII, გამ. 46, 47 (სტილისტურად განსხვავებულია).

ეს სიუჟეტი ანტიკურ ხელოვნებაში ადრეულ ძეგლებზედაცაა ასახული. სახელდობრ, ბრინჯაოს ქანდაკებებზე. იხ. Walters, Select bronzes, London, 1915, ტაბ. XLV.

ბეჭედი ბრინჯაოსაგან არის გაკეთებული. ბეჭდის ვიწრო რკალი მხრების მიმართულებით მკვეთრად ფართოვდება და უშუალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის დაბალ ბუდეში. ფართო ბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი; რკალს ბრტყელი შიდაპირი აქვს, ოდნავ ამობურცული ზედაპირი. ბუდე ბრტყელძირიანია.

თვალი ბუდეში მალლა ზის. ბეჭედი გვერდებისკენ განზიდულია, ელიფსის მოყვანილობა აქვს (სურ. 7). მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ. წ. II საუკუნით თარიღდება, იხ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, სურ. 4, აღწერილობა 7; აგრეთვე უცხო მასალებიდან, Henkel, Die römischen Fingerringe..., XLVI, გამ. 1191.



სურ. 7

დაცულობა: ინტალიო ზოგან ატკეცილია ისე, რომ გამოხატულება (აფროდიტეს თავი) დაზიანებულია. გამოხატულებამ სიმკვეთრე დაჰკარგა იმის გამო, რომ მინა ნაწილობრივ ირიზებულია. ბრინჯაო პატინით არის დაფარული. რკალის ქვედა ნაწილი დაზიანებულია — შექმულია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—12 მმ, ბეჭდის სიმაღლე—23 მმ,
 ინტალიოს განი — 10 მმ, ბეჭდის დიამეტრი—20—16 მმ.
 კლდეთი, 1942 წ., სამარხი № 4, აქტის № 50.
 ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. II საუკუნით თარიღდება.

20 (ინვ. № 863)

ინტალიო ღია ფერის ამეთვისტოსი, ოქროს მედალიონს ამკობს.
 ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, პირი ნაწილობრივ ოდნავ ამობურცული აქვს; ქვედა-
 პირი რელიეფურია, შუაგულში ოდნავ შებრტყელებული.
 ინტალიო ორმხრივია; ცალ მხარეს გამოხატულება ამოჭრილი, ქვედაპირზე, რელიეფურ მხა-
 რეს, წარწერა.
 პირზე გამოხატულია არიადნას ბიუსტი. პროფილში მარჯვნივ. არიადნას თავს სუროს ფოთ-
 ლებისა და ნაყოფის გვირგვინი ამკობს. ფოთლები ძალიან ფაქიზად და მოხდენილად არის გაბნეუ-
 ლი თავზე. გრძელი, ტალღებად დატეხილი თმა საფეთქელსა და კეფასთან ავარცხნილი და ჩახვეუ-
 ლი აქვს. თმის ხვეული ბოლოები გაშლილ კულულებად ეცემა მხრებზე. მაღალ შუბლზე ფართო
 ბაბთი აქვს გადაჭერილი. არიადნას გრძელი, ლამაზი მოყვანილობის ცხვირი აქვს, მკვეთრად გამო-
 ხატული ფაქიზი ნესტოებით; ოდნავ გაღებული კობტა პირი, მრგვალი ნიკაპი. თითქმის მრგვალი
 თვალი დაბალი რელიეფით არის შესრულებული. თვალის ქუთუთოები მკვეთრად და ფაქიზად არის
 გადმოცემული, სწორი და მოკლე წარბი ოდნავ შესამჩნევი ხაზითაა აღნიშნული; შუბლის კუნთები
 განვითარებული აქვს. ღაწვები და ლოყა ძალიან ფაქიზად არის დამუშავებული.
 არიადნას ლამაზი მოყვანილობის მაღალი კისერი აქვს. ყურს პაწია საკიდიანი, ამფორისებრი
 საყურე უმკობს. არიადნას კვართი აცვია. სამოსის ნაოჭები ოსტატურად არის შესრულებული.



სურ. 8

არიადნას საკმაოდ აღზნებული გამომეტყველება აქვს.
 ინტალიოს ქვედაპირზე ბერძნული ასოებით შესრულებული წარწერაა ამოჭრილი, მთელ პირს
 ფარავს. იგი აბრასაქს წარმოადგენს და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი შელოცვითი ხასიათისაა.
 (სურ. 8). წარწერა მარცხნიდან მარჯვნივ არის ამოჭრილი. ცენტრალურ ნაწილში ოცსტრიქონიანი
 წარწერაა მოთავსებული, მარცხენა მხარეს — ხუთსტრიქონიანი, ხოლო მარჯვნივ — ექვსსტრიქო-
 ნიანი. წარწერა ამგვარად გამოიყურება (სურ. 9).
 ვფიქრობთ, რომ წარწერა შემდეგნაირად უნდა დაიმარცვლოს: მარცხენა ნაწილი —

მარცხენა ნაწილი
 ΑΙΗΩΙ|ΟΒΑΛΑΒΑΑ|ΝΑ ΘΑΝΑΔΒΑ|

XNHTYWP|AHP|
 I|APBAΘAΓPAMNH|I|KAW|
 XABAPΘ|APΘAΦPVP|PXAχ|

მარჯვენა ნაწილი

CECEIF|EN|ΦAPATTH
 Pw|BAPPA|BAY|KYPIE|EHAΓAΘe/
 KAI|EVTYNOC|KTWP|WTw
 |ΦOPONTI|

IAEOVIwNI|ADIw|EAX
 I|APBAΘIAw|WHIOEHI|

Σεσε [ε] εν. φαράγγη
 Pw[η]¹⁾ ან Pw [α]²⁾ Βάρβαρος ἄστυ
 Ἐπ'ἀγαθὸν ἀστυ ἐπύχων: **Κ**ω Pw
 [ან x|ასტ] τασ[τ] τῶ φαράγγη²³

ცენტრალური ნაწილი ისევე რჩება.

IAEOVIwNIA IOw|EAX| I|APBAΘI|AW|
 WHIOEHI მაგიური ეპიტეტებია; შუა სვეტი
 IAW, IEOY და ა. შ. მაგიური შედახილებია
 ღვთაებისადმი.

ინტალიოზე თავდაპირველად სხვა წარ-
 წერა ყოფილა ამოკვეთილი; შემდეგ იგი გა-
 დაუშლიათ, გაუუჩინარებიათ და მის ნაცვლად
 ახალი (ამჟამად რომ იკითხება) წარწერა
 ამოკვეთნიათ. ძველი წარწერის კვალი მარ-
 ჯვენა და მარცხენა სვეტების სტრიქონებში
 შერჩენილა. მართალია, ასოები ძალიან
 მკრთალად ჩანს, მაგრამ ზოგიერთი მათგანის

გარჩევა შესაძლებელი ხდება, ზოგის მხოლოდ კვალია დარჩენილა. სახელდობრ: მარჯვენა სვე-
 ტის: პირველი სტრიქონის ბოლო ასოებს შორის—P, A, I, I და II; მეორე სტრიქონის მეხუთე
 ასოსთან—O; მეხუთე სტრიქონში — მეორე ასოსთან—A; მეექვსე ასოსთან—I, მეშვიდე—ა, მერვესა
 და მეცხრეს შორის—f, მათე—z, მეთერთმეტეს და მეთორმეტეს შორის—O, მეცამეტე—ა და მე-
 თხუთმეტე—z. მეექვსე სტრიქონი — მეორე ასოსთან z, მეოთხესთან—β, მეხუთე—z, მეექვსე—θ,
 მეშვიდე—I, მერვე—z, მეცხრე და მათეს შორის—აა. მეთოთხმეტესთან—e, მეთხუთმეტე და მე-
 თექვსმეტეს შორის—O. მარცხენა სვეტში — პირველი სტრიქონი: პირველ ასოსთან—A, მეორესთან
 I,—მეოთხე—f, მეშვიდე—N, მერვე—C, მეცხრე—ea, მათე—A; მესამე სტრიქონი — პირველი
 ასოს წინ—X, პირველსა და მეორეს შორის—N, მეორე და მესამეს შორის—II; მეოთხე და მეხუთეს
 შორის—A, მეექვსესთან—ა, მეშვიდესთან—e, მერვესთან—o, მერვესა და მეცხრეს შორის—A, მათეს
 შემდეგ—L; მეოთხე სტრიქონი: მეოთხე და მეხუთე ასოს შორის—B, მეექვსეში—A, მეექვსესა და
 მეშვიდეს შორის—θ, მეშვიდესა და მერვეს შორის—A, მერვესთან—f, მეცხრესთან—P, მათეს-
 თან—o, მეთერთმეტესთან—M, მეცამეტესა და მეთხუთმეტეს შორის—C'II, მეთექვსმეტესა და მე-
 ჩვიდმეტეს შორის—K, მეთვრამეტეზე—ა. მეხუთე სტრიქონი: მეორე ასოსთან—z, მესამესა და
 მეოთხეს შორის—B, მეოთხეზე—A, მეხუთესთან—θ, მეექვსესთან—X, მეშვიდეს წინ—A, მეშვიდე-
 ზე—P, მერვესთან—θ, მეცხრესთან—O, მათესთან—z, მეთერთმეტესა და მეცამეტეს შორის—X,
 მეთოთხმეტესა და მეთხუთმეტეს შორის—I.

ALHWDYAIABAA
 NABANABA
 XNH TYW P AHP
 IAPBAΘAΓPAMNHIBAN
 XABAPBAPOAIOYOKA*

IAW
 IEOY
 IAW
 fPHIθ
 WROMAZ
 MOYAAK
 IAEI
 IELW
 ABPACAE
 IAEH
 IAEWDY
 AEWBYI
 EWDYIA
 WDYIAE
 OYIAEW
 YIAEWO



სურ. 9

²³ თინათინ ყაუხჩიშვილი (იხ. წილკანში აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, 1955, გვ. 211) წარწერას ასე თარგმნის:
 უფალო, ქტორიოსი, მატარებელი (ამ ნივთისა) შეიწყალე სასიკეთოდ და საბედნიეროდ.

ამრიგად, მარჯვენა სვეტში შერჩენილია — P, A, I, I, H,
O

A, I, ω, ϕ, α, O, ω, α

α, B, α, Θ, I, α, ωω, E, O

მარცხენა სვეტში — A, I, ϕ, N, C, εα, A,


X, N, H, A, ω, ε, O, A, I,

B, A, Θ, A, P, O, M, C, H, K, ω

A

α, B, A, Θ, X, A, P, Θ, O, α, X, I;

ამრიგად, ჩვენი ინტალიო პალიმფსესტს წარმოადგენს. ეს გლიბტიკაში ძალიან იშვიათი მოვლენაა (ჩვენთვის მსგავსი შემთხვევა არ არის ცნობილი). (იხ. სურ. 10 და 11).



სურ. 10.

camées de la Bibliothèque Nationale, Paris, 1899, ტაბ. VII, გამ. 116. Southesk: Carnegie, Catalogue of the collections of antique gems, V. II, ტაბ. V, გამ. E 12; Reinach, Pierres gravées, Paris, 1895, ტაბ. 40, გამ. 83; Cook, Catalogue of an important collection of greek, roman and etruscan antiquities, London, 1925, ტაბ. 10, გამ. 200; Walters, Catalogue of engraved gems and cameos, ტაბ. XXX, გამ. 2945.

დაცულობა: პირი ერთგან ჩამოტეხილია ისე, რომ გამოხატულება (არიადნას მხარი) დაზიანებულია; პირი გაცვეთილია, ქვედაპირი (წარწერიანი მხარე) ქვედა ნაწილში ჩამოტეხილია, ამიტომ შუა სვეტის ქვედა სტრიქონები და ქვის მარცხენა მხარეს მოთავსებული

ინტალიო დაზგაზეა ამოჭრილი; მეტად წმინდა, ფაქიზი და ზედმიწევნით ოსტატური ნახელავია. განსაკუთრებული სიფაქიზითა და დახელოვნებული ხელით არის ამოჭრილი თმა. ქსოვილი; ფორმები პლასტიკურია, ყოველი ნაკეთი რბილი ხაზებითა და შეუმჩნეველი რელიეფით არის შესრულებული.

გამოხატულება არ არის ღრმად ნაკვეთი. იგი ოსტატს მქრქალად გაუპრიალებია. ფლენი — პრიალებს.

წარწერაც დაზგაზეა შესრულებული, საკმაოდ ღრმად და მკვეთრად. დაუდევარი ნახელავია — ანბანი სხვადასხვა ზომისაა. პირი გაპრიალებულია, წარწერა მქრქალად არის დატოვებული. გამოხატულება და წარწერა სხვადასხვა ოსტატის მიერ არის შესრულებული, რაც შეეხება ძველ წარწერას — იგიც დაზგაზე უნდა ყოფილიყო ამოჭრილი, თუ მხედველობაში მივიღებთ ქვის სიმაგრეს. ამგამად აღმასის საჭრისით ამოკაწრულს ჰგავს.

არიადნას სახე რომაული ხანის ამოკვეთილგამოხატულებიან ქვებზე ფართოდ არის გავრცელებული. იხ. Babelon E., Collection Pauver de La Chapelle. Intailles et

სვეტის ბოლო მარცვლები ნაკლულია — დაზიანებული. თვალი ბუდიდან ამოვარდნილია. მედალიონი ფურცლოვანი ოქროსგან არის გაკეთებული. ოვალური მოყვანილობის, ღრმა მედალიონი პირგადაშლილია; ნაპირი საკმაოდ ფართო და ბრტყელი აქვს (ბუდეზე ცალკეა დარ-

მარცხენა მხარე
I სტრიქონი
A P... [C]... [O] [C] A

III სტრიქონი
XNH > AW O P

IV სტრიქონი
IA [A] B [-] α θ [X] Γ P α M ... [C H] K λ

V სტრიქონი
... α B' A θ X A P θ O α ... [I] ... X ... [II]

სენტიმეტრული ნაწილი
III სტრიქონი
... A H [W]

მარჯვენა მხარე

I სტრიქონი
[C] ... [I] C ... [α] Γ α Γ K

II სტრიქონი
... [O]


V სტრიქონი
... A ... I W [F] α O ... W α

VI სტრიქონი
... α ... β α θ I α W ... ε O

სურ. 11

ჩილული). ნაპირს, ირგვლივ, ღრუ ბურთულეები აქვს მირჩილული (სულ 24 ცალი). ქვედა ნაწილზე მედალიონს მრგვალი ყუნწი აქვს მირჩილული, რომელშიც ობოლმარგალიტიანი საკიდეა გაყრილი; მარგალიტი ოქროს ღერაკზეა ჩამოცმული, ამავე ღერაკზე ორი ოქროს მძივია აცმული.

მედალიონს ზედა ნაწილზე დარჩილული აქვს ორყუნწიანი, ვიწრო ფირფიტა. ყუნწებში თავსა და ბოლოში სფერული მარგალიტებით შემკული (დიდ-პატარა მარგალიტით) ღერაკი — სამსჭვალე აქვს გაყრილი. ამავე სამსჭვალზეა წამოცმული ორმაგი ყუნწი (თუ ყუნწიანი რგოლი) — ერთმანეთთან მირჩილული ორი რგოლი, დიდ-პატარა. მედალიონის ძირი ამობურცულია (იხ. სურ. 12).



სურ. 12

ზომები:

- ინტალიოს სიგრძე — 28 მმ,
- ინტალიოს განი — 22 მმ,
- ინტალიოს სიმაღლე — 8 მმ,
- მედალიონის სიგრძე — 69 მმ,
- ბუდის სიგრძე — 38 მმ,
- თვალბუდის სიგრძე — 24 მმ,
- ბუდის განი — 30 მმ,
- თვალბუდის განი — 17 მმ,
- საკიდის სიგრძე — 18 მმ,
- ზედა ყუნწის დიამ. — 6 მმ,
- თითოეული ბირთვის დიამ. — 4 მმ.

წილკანი, 1950 წ., შემთხვევით აღმოჩენილი კრამიტსამარხი.

როგორც ჩანს, ინტალიო ოთხჯერ ყოფილა გამოყენებული. თვით გამოხატულება სტილისა და ნახელავის მიხედვით რომაული კლასიციზმის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ვფიქრობთ, რომ იგი აღრიანეს ებოქის კლასიციზმის ძეგლებს უნდა მივაკუთვნოთ.

აბრასაქსი ახ. წ. III—IV საუკ. თარიღდება, ხოლო რაც შეეხება ძველ წარწერას, მისი თარიღის შესახებ ვერაფერს ვიტყვი იმის გამო, რომ ასოების მოხაზულობისა და თვით შინაარსის დადგენა შეუძლებელია.

ინტალიო — ბეჭედი ბრინჯაოსი. ოვალური მოყვანილობის ინტალიო უშუალოდ გადადის ბეჭდის რკალში.

ბრტყელ პირზე გამოხატულია ფრინველი, პროფილში მარცხნივ; მოკლე ნისკარტი და მრგვალი პატარა თავი აქვს, მალაღებებიანია. გრძელი და საკმაოდ ფართო ბოლო ძირს აქვს დაშვებული.

ფრინველი მეტად სტილიზებულია, ძნელი დასადგენია რომელ ჯიშს ან ოჯახს მიეკუთვნება. გამოხატულება თითქმის მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე მკვეთრ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება საჭრისით არის ამოჭრილი, არათანაბარი რელიეფით, ზოგან ღრმა არის, ზოგან მკირვდაა ჩაღრმავებული. საკმაოდ სქემატური და ტლანქი ნახელავია, გაბედული ხელით შესრულებული.

ბეჭედი მასივურია. ვიწრო და ნომრგვალეხული რკალი მხრებთან ფართოვდება და უშუალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის ინტალიოში.

ბეჭდის რკალი გარედან რელიეფურია: შიდაპირი ბრტყელი აქვს. ინტალიო შედრეკილძირიანია (იხ. სურ. 13). ბეჭედი თავისი ფორმით ახ. წ. II—III საუკ. უნდა დათარიღდეს. შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. 1, გამ. 305; ტაბ. 5, გამ. 310.



სურ. 13

დაცულობა: ბეჭედი კარგად არის შენახული.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—12 მმ, ბეჭდის სიმაღლე—22 მმ, ინტალიოს განი—8 მმ, ბეჭდის დიამ.—14 მმ.

კლდეით, 1941 წ., აქტის № 18 გ.

საბეჭდავი — ბეჭედი ახ. წ. II—III საუკ. თარიღდება.

ინტალიო მოწითალო ფერის სარდიონისა, შავი წინწკლებით სისქეში, ოქროს ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია ფორტუნა 2/3 პროფილში მარცხნივ მიბრუნებული, თავი პროფილშია მიცემული.

ღვთაებას გრძელი, უსახელო კვართი აცვია; მარჯვენა წინ გაწვდილ ხელში საყე უჭირავს, მარცხენა ხელში—დიდი ზომის სიუხვის ყანწი.

ფორტუნას საკმაოდ გრძელი წამოსასხამი აქვს წამოსხმული; ქსოვილი სქემატურადაა გადმოცემული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზგა ამოჭრილი, არაღრმად და ბრტყელი რელიეფით. სქემატურად შესრულებული გამოხატულება ტლანქია. გამოხატულება ნაწილობრივ მქრქალად არის გაპრიალეებული, ნაწილობრივ ელვარებს (კვართის ნაწილი, სიუხვის ყანწი); ქვა გაპრიალეებულია.

მსგავსი გამოხატულებიანი გემები რომაულ ხანაში ფართოდაა გავრცელებული. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ძეგლთაგან იხ. М. П. Максимова, Теммы из некрополя Мцхеты-Самтавро, ტაბ. 1, გამ. 25.

ბეჭედი ფურცლოვანი ოქროსგან არის გაკეთებული. ვიწრო რკალი მხრების მიმართულებით ოდნავ ფართოვდება. რკალი დაქანებულმხრებიან ოვალურ ბუდეზეა მირჩილული. ბუდის ნაპირზე



სურ. 14

მუხლიანი სალტეა დარჩილული, რომელიც თვალს მჭიდროდ ეკვრის; ბუდის ძირი ამობურცულია. ბუდეს ცალ მხარეს, ნაპირთან, პაწია ბირთვი აქვს მირჩილული (იხ. სურ. 14).

დაცულობა: თვალი ძალიან გახეხილია, ხანგრძლივი

ტარების შედეგია; ნაპირი ერთგან ჩამოტეხილი აქვს. ინტალიო ადგილ-ადგილ დაქაწრულია, მცირედ. ბუდის ძირი დაწყლულია. ბუდე „ნაკერავში“ გახსნილია; ნაპირები შემოკლებული აქვს.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—12 მმ, ბეჭდის სიმაღლე—18 მმ, ინტალიოს განი—11 მმ, ბეჭდის დიამ.—15—12 მმ.

ახალგორი, სოფ. საძეგური, 1908 წ., მონაპოვარი, ე. წ. ახალგორის განძიდან.

ანალოგიური მასალის საფუძველზე ინტალიო ახ. წ. II საუკუნით თარიღდება. ვფიქრობთ, რომ ბეჭედი ცოტა უფრო გვიანდელი ახ. წ. III საუკუნისა უნდა იყოს²⁴.

ამავე განძში შედის ოქროს საბეჭდავი ბეჭდები №№ 34, 35 და ვერცხლის საბეჭდავი ბეჭდები²⁵.

23 (ინგ. № 626)

ინტალიო მთის ბროლისა, ბრინჯაოს ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალურია, ამობურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია ბუზი, მიფრინავს. გამოხატულება საკმაოდ სქემატურად არის შესრულებული. ფრთები ფართო ხაზებითაა—სიბრტყეებით გადმოცემული; ასევე სხეული. საცეცებსა და ფეხებს სწორი ხაზები გამოხატავს.

ინტალიო დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად, მაგრამ მკვეთრად, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა. ქვა გაპრიალებულია, გამოხატულება მქრქალად არის დატოვებული.

მსგავსი გამოხატულებები ხშირად გვხვდება რომაულ გლიპტიკაში. იხ. Lippold, Gemmen und Kameen des Altertums. ტაბ. XCVII, გამ. 14; Imhoof-Blüner und Otto Keller, Tier und Pflanzenbildes auf Gemmen und Münzen, ტაბ. XXXIII, გამ. 48.

ბეჭდისაგან დარჩენილია პატარა ფრაგმენტი—მაღალი ბუდე, რომელიც წვრილ რკალში გადადის.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული. ბეჭედი ნაკლულია, რკალი მოტეხილი აქვს.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—5 მმ, განი—4 მმ.

აგქალა, 1924 წ., შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი № 4.

ამოჭრის მანერის მიხედვით ინტალიო ახ. წ. III საუკ. უნდა ეკუთვნოდეს.

24 (ინგ. № 626)

ინტალიო მთის ბროლისა, ბრინჯაოს ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა; ამობურცული პირი აქვს.

²⁴ ბეჭედი გამოცემული აქვს ი. ს მ ი რ ნ ო ვ ს, იხ. Ахалгоринский клад, Тифлис, 1934, ტაბ. III, გამ. 32.

²⁵ ბეჭდები გამოცემული აქვს ი. ს მ ი რ ნ ო ვ ს, იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 29—30 (ამჟამად ქართული ხელოვნების მუზეუმში ინახება).

პირზე გამოხატულია ძალიან სტილიზებული მცენარე, გაუშლელი ყაყაჩო(?). გრძელი ყლორტი წმინდა ხაზითაა გამოხატული: ყვავილს გრძელი, ხაზურა ფოთლები აქვს.

გამოხატულება დაზვაზეა ამოჭრილი, არაღრმად და მეტად სქემატურად. ქვა გაპრიანებულია, გამოხატულება მჭრქალად არის დატოვებული.

ბეჭდისაგან პატარა ფრაგმენტია დარჩენილი — ოვალური და მაღალი ბუდე, წვრილი რკალის ნაშთით.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული. ბეჭედს რკალი არა აქვს, აკლია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—6 მმ, განი—4 მმ.

ავჭალა, 1924 წ., შემთხვევით მოპოვებული სამარხი № 4.

ამოჭრის მანერით ახ. წ. III საუკ. უნდა დათარიღდეს.

25 (ინგ. № 857)

კამეა ორფენიან სარდიონ-ფრცხილისა, ოქროს ბეჭედს ამკობს. კამეა მომრგვალებულკონტურებიან სწორკუთხა ქვაზეა ამოჭრილი. ზედა ფენა ნაცრისფერია, ქვედა—მოყავისფრო-ნაცრისფერი. გამოხატულება დაბალ და საკმაოდ ბრტყელ რელიეფშია შესრულებული.

კამეა ზეზემდგომ თანატოსს გამოხატავს, პირდაპირ. თანატოსი მარჯვენა იდაყვით თავდაყირა მდგომ ჩირაღდანს ეყრდნობა. ჩირაღდანი საკმაოდ დიდი ზომისაა.

თანატოსის თავი სუმარულადაა შესრულებული, მთელი სახე კვადრატებად აქვს დაყოფილი, ნაკვეთები არ არის ცალ-ცალკე გამოყოფილი. არაპროპორციული სხეული ერთ სიბრტყეშია მოცემული, საკმაოდ ბრტყელი რელიეფით. თანატოსი ტიტველია, ხელები პირობითადაა გამოხატული; მეტად წვრილი ფეხები ერთმანეთზე აქვს გადადებული. დიდი ზომის ფრთა სქემატურად და ტლანქად არის შესრულებული; ნაკრტენს მოკლე-მოკლე ღარები გამოხატავს.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.


კამეა დაზვაზეა ამოჭრილი, დაბალი და ბრტყელი რელიეფით. სქემატური და ტლანქი ნახელება. ოსტატს ზედა ფენა (მოცისფრო-ნაცრისფერი) გამოხატულებისთვის გამოუყენებია, ქვედა (მოყავისფრო-ნაცრისფერი) ფონისათვის. კამეა მჭრქალად არის გაპრიანებული.

ანალოგიური გამოსახულებები ფართოდ არის გავრცელებული რომაული დროის კამეებსა და ინტალიოებზე, იხ. Osborne, Engraved gems, ტაბ. XXIV, გამ. 9; King, Antique gems and rings, ტაბ. XXXV, გამ. 4 (შდრ. აგრეთვე ერმიტაჟის ფონდებში დაცული 37 (1266)).

ბეჭედი ღია ფერის ოქროსაგან არის გაკეთებული, მასივურია. ვიწრო, წიბოიანი რკალი ზევათკენ ფართოვდება და მაღალ, პორიზონტალურ მხრებში გადადის; მხრები კი ოვალური მოყვანილობის ფირფიტაში — ბუდის ძირში, რომელზედაც საკმაოდ მაღალი ბუდეა დარჩილული. ბუდე ოვალური მოყვანილობისაა, ფურცლოვანი ოქროსაგან არის გაკეთებული. ბუდის ნაპირები ოვალზე მჭიდროდ არის შემოკედილი. რკალს ბრტყელი შიდაპირი აქვს, ზედაპირზე მკვეთრად გამოხატული წიბო (იხ. სურ. 15) დაჰყვება.

მსგავსი ფორმის ბეჭედები ახ. წ. III საუკუნით თარიღდება, შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. 2, გამ. 18, 19; აგრეთვე უცხო მასალებიდან Marshall, Catalogue of finger rings greek, etruscan and roman, ტაბ. XV, გამ. 526; Henkel, Die römischen Fingerringe... ტაბ. X, გამ. 220.

დაცულობა: კამეა კარგად არის შენახული, ბეჭედი ადგილ-ადგილ დაჰყლეტილია, ბუდის ნაპირები ზოგან შემოკბილულია.



სურ. 15

ზომები: კამეის სიგრძე—12 მმ,
კამეის განი—5 მმ,
ბეჭდის სიმაღლე—21 მმ,
ბეჭდის დიამ.—18 მმ,

ბუდის სიგრძე—13 მმ,
ბუდის განი—8 მმ,
ბუდის სიმაღლე—2 მმ.

ურეკი, 1948 წ., შემთხვევითი მონაპოვარი.

სტილისტური თავისებურებისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით კამეა ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

26 (ინგ. № 655)

ინტალიო მოწითალო ფერის სარდიონისა. ოვალური მოყვანილობის მაღალი ინტალიო ქვედა პირისკენ ფართოვდება. პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი მკვეთრად დაქანებული ინტალიოს ბრტყელი პირი აქვს, ასეთივე ქვედაპირი.

პირზე გამოხატულია მწყემსი, პროფილში მარჯვნივ, რომელიც მის წინ მდგომ თხას წველის. მწყემსი ლოდებზეა ჩამომჯდარი; თავი სუმარულად აქვს შესრულებული. ოდნავ წინ წასრილ ტანს ერთი სიბრტყე გამოხატავს, ხელები ორი სწორი დარითაა გადმოცემული. მწყემსს მხრებზე მოკლე წამოსასხამი აქვს წამოსხმული, რომელიც წელამდე წვდება. მწყემსის ზურგს უკან კომბალი დევს.

თხა საკმაოდ სქემატურად არის გამოხატული; თავი სუმარულად აქვს შესრულებული, ფეხებს სწორი ხაზები გამოხატავს. ბალანი ურთიერთგადამკვეთი ხაზებითაა აღნიშნული.

გამოხატულება დაზვაზვა ამოჭრილი, საკმაოდ დრმად და მკვეთრად. პრიმიტიული ნახელავია; გაბეღული ხელით შესრულებული. ქვა კარგად არის გაპრიალეებული, გამოხატულება ოსტატს მჭრქალად გაუპრიალეებია.

ანალოგიური გამოხატულებები რომაულ გლიპტიკაში ფართოდ არის გავრცელებული. იხ. Furtwängler, Beschreibung... ტაბ. 34, გამ. 4685, 4684; Lippold, Gemmen und Kameen des Altertums und der Neuzeit, ტაბ. LVII, გამ. 9; Fossing, Catalogue of gems..., ტაბ. XII, გამ. 1004.

დაცულობა: ინტალიოს სისქეში რამდენაზე ბზარი აქვს, ქვედაპირის ნაპირები ადგილ-ადგილ ამოტეხილია, პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი ზოგან ატკეცილია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—14 მმ, ინტალიოს განი—8 მმ,

სიმაღლე—4 მმ, პირის სიგრძე—15 მმ, პირის განი—4 მმ.

ნაეთსადენი, მოპოვებულია 1949 წ., მიწის დამუშავების დროს.

სტილისტური თავისებურების მიხედვით ინტალიო ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

27 (ინგ. № 653)


ინტალიო წითელი ფერის იასპისა, ოქროს ბეჭედს ამკობს. მაღალი ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ქვედაპირისკენ ფართოვდება; პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს. პირბრტყელია.

პირზე გამოხატულია პერსეოსის თავი, პროფილში მარჯვნივ. გმირის თავს ჰადესის თავსაბურავი ამკობს; ქუდის წვერზე არწივის თავია დამაგრებული. საფეთქლის გასწვრივ — ფრთა. პერსეოსს დაბალი შუბლი აქვს, სწორი ცხვირი, საკმაოდ მკვეთრად გამოხატული ნესტოები; დიდი, ფართოდ გაღებული თვალი. კისერი პირობითადაა გადმოცემული — ორი დახრილი ხაზით. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭედზე დაბალ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზვაზვა ამოჭრილი არაღრმად და საკმაოდ მკვეთრად. ქვა გამოხატულებითურთ მკრთალადაა გაპრიალეებული.

ანალოგიური გამოხატულება იხ. Fossing, Catalogue of the antique engraved gems and cameos, ტაბ. VI, გამ. 475.

ბეჭედი ღია ყვითელი ფერის ოქროსაგან არის გაკეთებული, პატარა ზომისაა. განიერ რკალს სეგმენტოვანი ზედაპირი აქვს, ბრტყელი შიდაპირი. რკალი სტილიზებულ მხრებში გადადის, რომელიც სამფურცლოვან მცენარეს გამოხატავს. ბუდესთან ფურცლები—მხრები ფართოვდება. ფურცლები ღრმადია დაღარული. ყოველ შუა ფურცელს, თავში, მრგვალი პატარა ბუდე აქვს დარჩილული, რომელშიც მწვანე თვალი ზის (ამჟამად მხოლოდ ერთშია შერჩენილი). რკალს მირჩილული აქვს საკმაოდ მაღალი, ოვალური მოყვანილობის ბუდე, ოდნავ შედრეკილი და ფართო ძირით (სურ. 16). თვალის ქვედა ნაწილს ნაპირი მჭიდროდ ეკვრის. სტილიზებულ მხრებიანი ან მხრებშემკული ბეჭედები ახ. წ. III საუკ. თარიღდება. იხ. Marshall, Catalogue of the finger rings greek, etruscan and roman, ტაბ. XVI, გამ. 550; Henkel, Die römischen Finger- ringe der Rheinlande, ტაბ. XIII, გამ. 253, 253 a, 253 b.



სურ. 16

დაცულობა: თვალი კარგად არის შენახული. ბეჭედი—ოქრო კარგადაა დაცული. სტილიზებულ მხარზე დარჩილული ერთი ბუდიდან თვალი ამოვარდნილია.

- | | |
|-------------------------------|------------------------------------|
| ზომები: ინტალიოს სიგრძე—8 მმ, | რკალის განი—3—4 მმ, |
| ინტალიოს განი—6 მმ, | რკ. განი მხართან—6 მმ, |
| ინტალიოს სიმაღლე—2 მმ, | ბუდის სიგრძე—11 მმ, |
| პირის სიგრძე—8 მმ, | ბუდის სიმაღლე—3 მმ, |
| პირის განი—5 მმ, | ბუდის განი—8 მმ, |
| ბეჭდის სიმაღლე—20 მმ, | მხარზე დარჩილული ბუდის დიამ.—2 მმ, |
| ბეჭდის დიამ.—14 მმ, | მხარზე დარჩ. ბუდის სიმაღლე—1 მმ. |

მცხეთა, შემთხვევითი მონაპოვარი, 1947 წ.

ბეჭდის ფორმისა და გემის სტილისტური თავისებურების მიხედვით ინტალიო ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

28 (ინგ. № 728).

ინტალიო მოწითალო ფერის სარდიონისა, გამჭვირვალე, ერთგან შავი ლაქით. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს.

პირზე გამოხატულია მამალი, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი. გამოხატულება საკმაოდ სქემატურად არის შესრულებული. თავი სუმაჩულადაა გადმოცემული, ბიბილოსთან არის გაერთიანებული და ერთი ხაზითაა გამოხატული. ნისკარტი არ არის აღნიშნული. მამალს ფრთები მოკეცილი აქვს. ნაკრტენი და ბუმბული ფრთებზე არ არის აღნიშნული; დიდი ბოლო მკვეთრი, კუთხოვანი კონტურიტაა შემოფარგლული. ნაკრტენს ოთხი მოკლე და მკვეთრი ხაზი გამოხატავს. ფეხები სწორი ხაზებითაა გადმოცემული, „თითები“—სქემატურად. ნიადაგის ზოლი ძალიან მკრთალად ჩანს.

გამოხატულება თითქმის მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ და მკვეთრ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დახგაზნა ამოჭრილი არაღრმად და საკმაოდ მკვეთრად. ტლანქი ნახელავია, გაბედული ხელით შესრულებული. ქვა კარგად არის გაპრიალებული. გამოხატულება ოსტატს მქრქალად გაუპრიალებია.

მსგავსი გამოხატულება საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული რომაულ გლიბტიკაში, იხ. Imhof-Blümer und Otto Keller, Tier und Pflanzenbilder auf Gemmen und Münzen, ტაბ. XXI, გამ.

30. ხშირია წყვილი მამლის გამოხატულება, მაგ., იქვე, ტაბ. XXI, გამ. 35. Reinach, Pierres gravées, ტაბ. 71, 11, გამ. 92²; Lippold, Gemmen und Kameen des Altertums und Neuzeit, ტაბ. XLVI, გამ. 1 და ა. შ.

დაცულობა: ინტალიოს ნაპირი ჩამომტვრეული აქვს ისე, რომ გამოხატულება დაზიანებულია, ქვა სისქეში ორგან გაბზარულია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—10 მმ, ინტალიოს განი - 9 მმ.

ზაჭესი, შემთხვევითი მონაპოვარი.

ამოჭრის მანერისა და სტილის მიხედვით ინტალიო ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

28¹ (ინგ. № 624)

ინტალიო სარდერისა, რკინის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია ხელის ჩამორთმევა, საკმაოდ სქემატურად.

გამოხატულება დაზვაზვა ამოჭრილი. არაღრმად, ტლანქი ნახელავია. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია.

მსგავსი გამოხატულებები გავრცელებულია რომაულ გლიბტიკაში, იხ. M. H. Максимова, Геммы из некрополя Мухеты-Самтавро, ტაბ. 1, გამ. 30.

ვიწრო რკალი მხრებთან ფართოვდება და უშუალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის დაბალ ბუდეში. ბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი. ჩანს, ბეჭედი გვერდებისკენ განზიდული ყოფილა. ანალოგიური ფორმის ბეჭედები ახ. წ. II საუკ. თარიღდება, შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. 2, გამ. 14; Henkel, Die römischen Finger-ringe, ტაბ. XLXI, გამ. 1191.

დაცულობა: რკალს 2/3 მოტეხილი აქვს.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—8 მმ, ინტალიოს განი - 6 მმ.

ზემო-ავექალა, 1923 წ., შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი № 1²⁴.

ბეჭედის ფორმის მიხედვით ახ. წ. II საუკ.

29 (ინგ. № 729).

ინტალიო²⁵ მოწითალო ფერის სარდონისა. ინტალიო წაკვეთილი კონუსისებრი მოყვანილობისაა; ბრტყელი პირი აქვს. პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი მკვეთრად დააქანებული.

პირზე გამოხატულია ზეზემდგომი ეროსი, პროფილში მარჯვნივ. ძალიან სქემატური ნახელავია. სუმარულად შესრულებული თავი ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული. ეროსს მოკლე ფრთა ოდნავ მოკეცილი აქვს. მთელი სხეული ერთი, დაუნაწევრებელი სიბრტყითაა გადმოცემული. ფეხებს ორი წვრილი ხაზი გამოხატავს; ტერფები მკვეთრად აღნიშნული.

ეროსი მარჯვენა ხელით თავდაყირა მდგომ ჩირაღდანს ეყრდნობა. ნიადაგის ზოლი მკვეთრად მოცემული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზვაზვა ამოჭრილი, არაღრმად; მთელი გამოხატულება ერთ სიბრტყეშია მოცემული. ნახელავი არ გამოირჩევა ოსტატობით, ტლანქად არის შესრულებული. ქვა ზედმიწევნით არის გაპრიალებული, გამოხატულება ოსტატს მქრქალად დაუტოვებია.

²⁴ ამავე სამარხიდან არის ბეჭედი № 33 (ინგ. № 651).

²⁵ ჩანს, ინტალიოს რკინის ბუდე ჰქონია.

ანალოგიური გამოხატულებები ფართოდ არის გავრცელებული რომაულ გლიბტიკაში, იხ. კამე-
ები: Walters, Catalogue of engraved gems and cameos, ტაბ. XXXIV, გამ. 3475; Richter, Catalogue
of antique engraved gems, ტაბ. 71, გამ. 17.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—10 მმ, პირის სიგრძე—8 მმ,

ინტალიოს განი—8 მმ, პირის განი—6 მმ.

ზაჭესი, შემთხვევითი მონაპოვარი.

სტილისტური თავისებურების მიხედვით ინტალიო ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

30 (იხვ. № 647)


ინტალიო მოწითალო ფერის სარდიონისა, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიოს წაკვეთილი
კონუსის ფორმა აქვს, საკმაოდ მაღალია.

პირზე გამოხატულია პანი, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი. სახე სქემატურად არის გადმო-
ცემული, ცხვირს სწორი ხაზი გამოხატავს, პირს—ორი პარალელური შტრიხი, პანს მაღალი თმის
ვარცხნილობა აქვს; დაბალი, ორი სწორი ხაზით გადმოცემული რქები. წვერი სწორი ხაზითაა
აღნიშნული.

პანს წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში კალათი უჭირავს, მარცხენა ხელში—მოკაუჭებული ტო-
რი. ფეხები სახსრებში მოხრილი აქვს, ჩლიქები სქემატურადაა გადმოცემული, ბალანი მოკლე-მოკ-
ლე ირიბი ღარებით არის შესრულებული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანა-
ბეჭედზე დაბალ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად და მკვეთრად. საკმაოდ ტლანქი ნახელავია,
გაბედული ხელით შესრულებული. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება ოსტატს
მჭრქალად დაუტოვებია.

ვერცხლის ბეჭედის რკალი წახნაგია, საკმაოდ მკვეთრად გამოხატული კონტურებით. ბე-
ჭედს მაღალი, ჰორიზონტალური მხრები აქვს. მხრებთან რკალი ფართოვდება და მსხვილდება; იგი
მრგვალი მოყვანილობის დაბალ ბუდეში ვადადის (სურ. 17). მსგავსი ბეჭედები ახ. წ. III საუკუნით



სურ. 17

ნის გლიბტიკურ ძეგლებზე. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ძეგლთაგან იხ. მ. ლორთქი-
ფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. II, გამ. 22 (კომპოზიციაში
განსხვავებაა). აგრეთვე იხ. Reinach, Pierres gravées, ტაბ. 43, გამ. 89¹.

დაცულობა: თვალი გაბზარულია, ბეჭედი აქა-იქ დაზიანებულია, ბუდეს ნაპირი ოდნავ შემომ-
ტვრეული აქვს.

ზომები: ბეჭედის დიამ. 19—15 მმ,

რკალის განი—8 მმ,

ინტალიოს დიამ.—12 მმ,

ინტალიოს სიმაღლე—3 მმ.

მცხეთა, ნაეთსადენი, 1934 წ., შემთხვევით მოპოვებული ქვის სამარხი²⁸.

გამოხატულების სტილის, ამოჭრის ტექნიკისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

31 (ინგ. № 726)

ინტალიო მოთეთრო ფერის ქალცედონისა, რკინის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი ტიხე-ფორტუნა. ტანი თითქმის პირდაპირაა მოცემული, თავი—პროფილში მარცხნივ. ღვათების თავს დაბალი მოდა ამკობს; თმა თავის ირგვლივ აქვს ჩახვეული. სახე ძალიან სუმარულად არის შესრულებული—პირს, ნიკაპსა და ცხვირს სამი შტრიხი გამოხატავს. ქალღმერთს გრძელი და უსახელო კვართი აცვია. სამოსის ნაოქები სქემატური ხაზებითაა შესრულებული. ფორტუნა წინ გაწვდილ მარჯვენა ხელით საჭეს ეყრდნობა, მარცხენა ხელში პატარა სიუხვის ყანწი უჭირავს და ამავე მკლავზე წამოსასხამი აქვს დახვეული. ქალღმერთის ფეხებით გუთანი (?) დგას.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

ინტალიო დაზგაზეა ამოჭრილი, არალრმად და მკვეთრად; ბრტყელი რელიეფითაა შესრულებული, ტლანქი ნახელავია. გამოხატულება ოსტატს მქრქალად გაუბრიალებია.

ანალოგიური გამოხატულებები ფართოდაა გავრცელებული რომაულ გლიბტიკაში, იხ. Furtwängler, Beschreibung des Geschnittenen Steine..., ტაბ. 55, გამ. 7306. საქართველოში აღმოჩენილ გემათავან: მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. II, გამ. 18; М. И. Максимова, Геммы из некрополя Мухеты-Самтавро, ტაბ. I, გამ. 23, 24, 25 (სტილისტურად განსხვავდება).

ბეჭდის რკალი საკმაოდ ფართო და სქელი უნდა ყოფილიყო, რომელიც მხრებთან ოდნავ ფართოვდება და უშუალოდ გადადის ბუდის ძირში. ჩანს ბუდე ოვალური მოყვანილობისა ყოფილა. ბეჭდის ფორმის სრულად აღდგენა ვერ ხერხდება იმის გამო, რომ ბეჭედი დეფორმირებულია.

დაკულობა: თვალი ბუდიდან ამოვარდნილია. ბეჭდისაგან დაჯანგული რკალი და ბუდის ძირია დარჩენილი.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—11 მმ,

ინტალიოს განი—8 მმ,

ბეჭდის დიამეტრი—15 მმ,

რკალის განი—რ—3 მმ.

ბორი, 1938 წ. ვათხრები, ორმოსამარხი № 1, საველე № 154.

ვფიქრობთ, რომ ბეჭედი ახ. წ. II საუკ. ბეჭდების ტიპისა უნდა იყოს (შღრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. 2, № 14); სტილისტური ნიშნებით და ანალოგიური მასალის საფუძველზე ინტალიოც ამ დროით, სახელდობრ, ახ. წ. II საუკუნით თარიღდება.

32 (ინგ. № 858)

ინტალიო წითელი ფერის იასპისა (ე. წ. ლუქისებრი იასპის), ოქროს ბეჭედს ამკობს²⁹. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, ბუდეში ღრმად ზის.

პირზე გამოხატულია ჰერმესი და ფორტუნა. ჰერმესი ფორტუნას წინ დგას; თავი პროფილში მარჯვნივ აქვს მიბრუნებული, ტანი პირდაპირ არის მოცემული. ღვათებს თავს პეტაში უმკობს (ფრთე-

²⁸ ამავე სამარხში არის აღმოჩენილი ვერცხლის მონეტა გოტარზისა.

²⁹ ბეჭედი გამოცემულია, იხ. ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 92. ამავე განძიდან არის გემიანი ბეჭედი № 3.

ბით შემკული თავსაბურავია), ჰერმესი ძირს დაწვებულ მარჯვენა ხელით კვერთხს ეყრდნობა, წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში საკმაოდ დიდი გვირგვინი უჭირავს, რომელიც ფორტუნას უნდა დაადგას თავზე.

ფორტუნას გრძელი, ნაოჭიანი და უსახელო კვართი აცვია. მარცხენა ხელზე წამოსასხამის ბოლო აქვს გადაგდებული; ამავე ხელში დიდი ზომის სიუხვის ყანწი უჭირავს. ქალღმერთი მარჯვენა ხელით საჭეს ეყრდნობა.


ჰერმესის ზურგს უკან, ძალიან სქემატურად, ხუთქიმიანი ვარსკვლავია ამოჭრილი, ფორტუნას ფეხთ შორის მოკლე ნიადავის ზოლია გამოხატული. ცალკეული დეტალები პირობითადაა შესრულებული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება საჭრისით არის ამოჭრილი; მეტად სქემატური და ტლანქი ნახელავია. გამოხატულება არ არის ღრმად ნაკვეთი, საკმაოდ ბრტყელ რელიეფს იძლევა ანაბეჭდზე. ქვა და გამოხატულება ოსტატს არ გაუბრიალებია.

ანალოგიური გამოხატულება იხ. Fossing, Catalogue of the engraved gems, ტაბ. XIX, გამ. 1663.

ოქროს ბეჭდის გვერდებდაქანებული თვალბუდე, ოვალური მოყვანილობისაა, ძირისკენ ვიწროვდება; ბრტყელი ძირი აქვს, ბუდე გვერდებშებრტყელებულ რკალთან მკიდროდაა შეკავშირებული. მხრებთან რკალი ჩაჭრილია. ბრტყელი შიდაპირი აქვს, ამობურცული ზედაპირი, მომრგვალებული კონტურით. ბეჭედი მასიურია, ნაჭედი უნდა იყოს (სურ. 18).

დაცულობა: ინტალიოს პირი, ქვედა ნაწილში, ამოტეხილია ისე, რომ გამოხატულება და-



სურ. 18

ზიანებულია. თვალი რამდენიმე ადგილას ატყეცილია მკირვდ. ბუდე მირჩილვის ადგილებში ზოგან გახსნილია.

- | | |
|--------------------------------|------------------------|
| ზომები: ინტალიოს სიგრძე—19 მმ, | ბუდის სიმაღლე—5 მმ, |
| ინტალიოს განი—15 მმ, | რკალის განი—4 მმ, |
| ბუდის სიგრძე—21 მმ, | ბეჭდის სიმაღლე—23 მმ, |
| ბუდის განი—18 მმ, | ბეჭდის დიამ. 20—15 მმ. |

ურეკი, 1942 წელს აღმოჩენილი განძიდან.

სტილისტური თავისებურების მიხედვით ინტალიო ახ. წ. III საუკ. ბოლო წლებით უნდა დათარიღდეს.

მ. ჩადილომე შავიზღვისპირეთი

მმ (ინგ. № 651)

ინტალიო მუქი ფერის პირობისა—გრანატი, ამკობს ოქროს ბეჭედს. ინტალიო მრგვალია: ამობურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია საკმაოდ დიდი ზომის კრატერი, პირფართო და მაღალფეხიანი. კრატერის ნაპირზე, ერთმანეთის პირდაპირ, ორი ფრინველი ზის. ფრინველები ძალიან სქემატურად არიან გამოხატულნი. სუნარულად შესრულებული თავები პატარა ზომისაა, მაღალი ფეხები აქვთ, გრძელი, უკან გაშვებული ბოლოები.



კრატერს ორი გრძელი ყური აქვს. მაღალი ფეხი ქუსლიანი და დამუხლულია. კრატერი პარალელური —შვეული ზოლებითაა შემკული, მთელი გამოხატულება ძალიან სქემატურად არის შესრულებული, გრაფიკულ ხასიათს იტარებს.

გამოხატულება დაზგაზგა ამოჭრილი არაღრმად, მაგრამ მკვეთრად. მთელი „ნახატი“ ხაზების საშუალებითაა გადმოცემული. ქვა—ფონი ზედმიწევნით არის გაპრიალებული, ელვარებს. გამოხატულება ნაწილობრივ მქრქალია³⁰.

ანალოგიური გამოხატულებები გავრცელებულია რომაულ გლიბტიკაში, იხ. Walters, Catalogue of engraved gems and cameos, ტაბ. XXIX, გამ. 2638; Reinach, Pierres gravées, ტაბ. 70, გამ. 907; Fossing, Catalogue of the engraved gems and cameos, ტაბ. XVII, გამ. 1496.

ბეჭედი ფურცლოვანი ოქროსგან არის გაკეთებული; ღრუ, მასტიკით ან-პასტიით ამოვსებული. მრგვალი და ვიწრო რკალი „მხრების“ მიმართულებით ფართოვდება და უშუალოდ გადადის მრგვალ ბუდეში. ბუდე შიგ რკალშია ამოჭრილი, ოდნავ შედრეკილი ძირი აქვს. ბეჭედი რელიეფურზედაპირიანია. ბუდის ძირზე ოქროს ფირფიტაა დაფენილი. იგი თვალს ელვარებას ანიჭებს (სურ. 19).

მსგავსი ფორმის ბეჭედები ახ. წ. II საუკ. თარიღდება. შდრ. Henkel, Die römischen Fingerringe der Rheinlande, ტაბ. X, გამ. 194, 194 a, 194 b.



სურ. 19

დაკულობა: ინტალიოს ნაპირი ერთგან ამოტეხილია მცირედ. ბეჭედი ზოგან დაჭყლეტილია ძალიან მცირედ. ერთგან ოქროს ამოხეულია—მხარზე.

ზომები: ინტალიოს დიამ.—15—14 მმ, ბეჭდის დიამ.—15—14 მმ.

ბეჭდის სიმაღლე—25 მმ, ბუდის დიამ.—16 მმ.

ზემო-ავეჯალა, 1923 წ., შემთხვევით მოპოვებული აგურსამარხი № 1.

ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. II საუკ. თარიღდება.

2. ადგილობრივი ბემები

84 (ინგ. № 861)

საბეჭდავი—ბეჭედი ოქროსი; ინტალიო—ბეჭდის ფარი, მრგვალია და ბრტყელი.

პირზე გამოხატულია გრიფონი, პროფილში მარცხნივ, მიმავალი; თავი ზურგისკენ აქვს მიბრუნებული. დიდი ზომის თვალი რელიეფური, გულამოღებულნი წერტილითაა აღნიშნული; დიდი მოკაუჭებული ნისკარტი აქვს, სქელი და მაღალი კისერი, მოკლე-მოკლე (სამ წყებად) ხაზებით დასერილი. ფაფარი ტეხილი ხაზითაა გადმოცემული. გადატეხვის ადგილას თითო წერტილია ამოკვეთილი.

გრიფონს დიდი, მოკლე-მოკლე ხაზებისაგან შედგენილი, შეეულად ამართული ფრთა აქვს, რომელიც ნისკარტის ძირის გასწვრივ ტყდება და ზურგის მიმართულებითაა გახრილი. ფრთის ბოლო თავის მიმართულებით არის მოხრილი (მორკალულია).

გრიფონს გრძელი სხეული აქვს, ჩადრეკილი ზურგი და გამოხრილი მუცელი. მოკლე კუდი ზევით აწეული და ბოლოდაგრებილია, დაბალი ფეხები ბასრი ბრტყალებით ბოლოვდება; უკანა ფეხები სახსრებში აქვს მოხრილი.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

³⁰ ანალოგიური ტექნიკით შესრულებულ გემებს პროფ. მ. მაქსიმოვა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ნახელავად მიიჩნევს. იხ. Геммы из некрополя Мухеты-Самтавро, საქ. სახ. მუზეუმის „მოამბე“, XVI—B, თბილისი, 1950, გვ. 227.

გამოხატულება ხელით არის ამოჭრილი, არაღრმად და მკვეთრად. კარგი და ოსტატური ნახელავია; ერთგვარად, სქემატურ ხასიათს ატარებს.

ბეჭედი მეტად ღია ფერის ოქროსაგან არის გაკეთებული. თვით გამოხატულება ჩამუჭებულია. ვიწრო, პირხსნილი და დაკუთხული რკალი ქვევითკენ არის ჩამოგრძელებული. რკალი ზევითკენ — ფარისკენ შეუმჩნეველად ფართოვდება, „მხრებთან“ — შებრტყელებულია. რკალი მრგვალ და ბრტყელ ფართან (სურ. 20) არის მირჩილული.



დაცულობა: ბეჭედი საკმაოდ კარგად არის შენახული; რკალი აქა-იქ მცირედ არის დაქუცვნილი.

ზომები: ინტალიოს დიამ.—18 მმ, ბეჭდის სიმაღლე—23 მმ,

ბეჭდის დიამეტ.—18 მმ, რკალის დიამეტრი—2 მმ.

სურ. 20

ბეჭედი აქამენიდური ეპოქით, სახელდობრ, ძვ. წ. V—IV საუკ. თარიღდება. ანალოგიები ვლიბტიკური და აგრეთვე სხვა სახეთა ხელოვნების ძეგლებს შორის ჯერჯერობით ვერ მოვუძებნეთ.

ამავე ბეჭედთან არის აღმოჩენილი ოქროს საბეჭდავი ბეჭედი № 35, ვერცხლის საბეჭდავი ბეჭედები³¹ და სარდიონის გემიანი ბეჭედი³² № 22.

ახალგაორი, სოფ. საძვეური, მოპოვებულია 1908 წ., ახალგაორის³³ განძთან ერთად.

35 (იხვ. № 862)

საბეჭდავი—ბეჭედი ღია ყვითელი ფერის ოქროსი. ინტალიო—ბეჭდის ფარი ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია გრიფონი (?), პრიფილში მარცხნივ. გრიფონს საკმაოდ სუმარულად შესრულებული კოხტა მოყვანილობის თავი აქვს, დიდი ზომის თავალს რელიეფური წრე გამოხატავს; თავზე თითქოს დაკბილული გვირგვინი ადგია. გრიფონი ყურბრტყელებულია, დრუნში რელიეფურადაა გამოხატული.

გრიფონს მაღალი კისერი აქვს, თავისაგან პორიზონტალური ხასით გამოყოფილი. დიდი, ნახევარმთვარისებრი მოყვანილობის ფრთა თავისაკენ აქვს გადმოხრილი. ირიბი, მოკლე-მოკლე ხაზებისგან შედგენილი ფრთა მთელ სიგრძეზე რელიეფური ზოლით ორად არის გაყოფილი; მთელი სხეული რელიეფური წერტილებით არის დაფარული. ზევით აწეული კუდი სპირალისებურადაა მ გამოხატული; გრიფონს სქემატურად შესრულებული მაღალი ფეხები აქვს. წინა ფეხები სწორი ხაზებითაა გამოხატული; უკანა — სახსრებში მოხრილი აქვს, ბასრ და დიდი ზომის ბრტყალებს რკალები გამოხატავს.

გრიფონის გულ-მკერდის გასწვრივ გამოხატულია მნათობი, სხივებიანი ვარდულის სახით; ოთხსხივიანია, სხივებს შორის რელიეფური წერტილებია. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა³⁴.

გამოხატულება ხელით არის ამოჭრილი (უჩვეულო ტექნიკითაა შესრულებული, თავისებური საქრისები უნდა იყოს გამოყენებული), არაღრმად, მაგრამ მკვეთრად. გულმოდგინე ნახელავია, გაბედული ხელით შესრულებული. გამოხატულება — ნახელავი ერთგვარად სქემატურ ხასიათს ატარებს. ზედაპირი მქრქალადაა გაპრიალებული.

³¹ იხ. Я. И. Смирнов, Ахалгоринский клад, Тифлис, 1934, таб. III, вып. 30 (ნახება ხელოვნების მუზეუმში).

³² სარდიონის გემით შემკული ბეჭედი რომაული ხანისაა.

³³ ბეჭედი გამოცემული აქვს ი. სმირონოვს. დასახ. ნაშრომი, ტაბ. III, გამ. 30

³⁴ მსგავსი ვარდული ძვ. წ. V და IV სს. მონეტებზე გვხვდება, იხ. Grose, Greek coins, vol. III, Cambridge, 1929, ტაბ. 14, 15; ტაბ. 297, გამ. 24, 25, 26.

ბეჭედი ღია ფერის ოქროსაგან არის გაკეთებული. საკმაოდ სქელი ბეჭდის ფარი ოვალური მოყვანილობისაა; ფარს მიჩნეული აქვს ვიწრო და მრგვალი რკალი. ჩანს რკალი ოქროს თხელი ფირფიტისაგან არის გაკეთებული (რკალის შიდაპირს ნაკერავი ეტყობა) და შემოჭედულია ღეროზე. რკალი ქვედა ნაწილში გახსნილია და პირიპირზე აქვს გადასული. გახსნილ ბოლოებს თავები მომრგვალებული აქვს (სურ. 21).



სურ. 21

დაცულობა: პირი ზოგან დაკაწრულია, მცირედ; ქვედაპირი—რამდენიმე ადგილას დაჭყლელი და ახეულია. რკალის შიდაპირი (ცალი მხარე) „ნაკერავში“ გახსნილია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—19 მმ, ბეჭდის სიმაღლე—21 მმ,
 ინტალიოს განი—17 მმ ბეჭდის დიამეტრი—20—13 მმ.
 რკალის დიამეტრი—2 მმ.

ბეჭედი აქამენიდური ეპოქით თარიღდება, სახელდობრ ძვ. წ. V—IV საუკ. ანალოგიები ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლთა შორის არ მოეძებნება. სტილისტურადაც მეტად თავისებურ ნივთს წარმოადგენს.

ამავე განძში შედის ოქროს საბეჭდავი ბეჭედი № 34, ვერცხლის ბეჭდები—ინტალიო³⁵ და სარდიონის გემით შემკული ბეჭედი № 22. ახალგორი, სოფ. საძეგური, მოპოვებულია 1908 წ.³⁶

36 (იხვ. № 779)

საბეჭდავი ბეჭდის ფარაკი—ინტალიო, ვერცხლისა, ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი³⁷. პირზე, ცენტრში, გამოხატულია სტილიზებული კვიპაროსის ხე, რომლის წინ პირაშემკული მხეცი დგას; აქეთ-იქით, მხეცის ზურგს ზემოთ, თითო ფრინველია გამოხატული. მხეცს თავი დაუხრია და ფრინველს (?) ჭამს. მხეცი ღომის ჯიშისა უნდა იყოს, დაბალი ფაფარი აქვს, მოკლე-მოკლე ღარებით გადმოცემული. ფერდები მკვეთრი ხაზებითაა დასერილი. სახსრების გამოხატვისას bouterolle-ისებრი საჭრისია ნახვარი. ფართო ნიდაგის ზოლი ჭდეებით არის დასერილი.

გამოხატულება საჭრისით არის ამოჭრილი, არაღრმად; კარგი ნახელავია.

დაცულობა: ბეჭდისაგან დარჩენილია ორად გატეხილი ფარაკი.

ზომები: სიგრძე—20 მმ, განი—18 მმ.

წალკა, 1940 წ., ალგეთის სამარხი, საველე № T¹ 25.

აქამენიდური ეპოქა.



37 (იხვ. № 776)

საბეჭდავი ბეჭდის ფარაკი—ინტალიო³⁸, ვერცხლისა, მრგვალი და ბრტყელი ინტალიო ვიწრო რკალში გადადიოდა.

პირზე გამოხატულია სტილიზებული ცხენი, პროფილში მარცხნივ, რომელზედაც მხედარი ზის, en face. ცხენი ოთხით მიდის. ცხენის გულ-მკერდი და კისერი მოკლე-მოკლე ხაზებით არის დასერილი. მხედრის ფიგურა ძალიან არაპროპორციულია—პატარა, სუმარულად შესრულებული თავი; მოკლე ძალიან კუთხოვანი ტორსი; გრძელი, სწორი ხაზებით გადმოცემული ფეხები და საგრძნობლად პატარა ხელები. მხედარს ხელში შუბი (?) უნდა ეჭიროს.

³⁵ იხ. ი. ს მი რ ნ ვ ი, დასახ. ნაშრ. (ბეჭდები ქართული ხელოვნების მუზეუმში ინახება).

³⁶ ბეჭედი გამოცემული აქვს სმიტნოვს, იხ. დასახ. ნაშრ., ტაბ. III, გამ. 29.

³⁷ ბეჭედი გამოცემული აქვს ბ. კ უ თ ტ ი ნ ს, იხ. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси, 1941, таб. XI.

³⁸ ბეჭედი გამოცემული აქვს ბ. კ უ თ ტ ი ნ ს, იხ. დასახ. ნაშრ., ტაბ. XI

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიის პირს, ანაბექტზე დაბალ და ძალიან ბრტყელ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება საჭრისით უნდა იყოს ამოჭრილი. ზოგ შემთხვევაში bouterolle-ისებრი საჭრისია ნახშიარი.

ინტალიო სტილისტურად ყოლოთოში აღმოჩენილი ბეჭდებზე ახლო დგას, სახელდობრ № 43. დაცულობა: ბეჭდისაგან დარჩენილია დაზიანებული ფარი და რკალის პატარა ნაწილი.

ზომები: ინტალიოს დიამ.—19 მმ.

წალკა, 1940 წ., ალგეთის სამარხი, საველე № T. 26.

აქამენიდური ეპოქა.

38 (ინგ. № 777)

საბეჭდავი—ბეჭედი ვერცხლისა; მრგვალი და ბრტყელი ინტალიო ვიწრო და მრგვალ რკალში გადადის. ქვედა ნაწილში ბეჭდის რკალი განზიდულია.

პირზე გამოხატულია გრიფონი, პროფილში მარჯვნივ. თავი ზურგისკენ აქვს მიბრუნებული. მაღალი ფაფარი ტეხილი ხაზებით არის გამოხატული, რომელიც რელიეფური წერტილებით ბოლოვდება.

გამოხატულება საჭრისით უნდა იყოს ამოჭრილი, ამჟამად ძნელია დეტალების გარჩევა—ბეჭედი ყანგმა დააზიანა.

ანალოგიური გამოხატულება, რომელიც სტილისტურად სავსებით ერთგვარია, ახალგორის ბეჭედზე გვხვდება. იხ. № 34.

დაცულობა: რკალს 1/3 აკლია. ვერცხლი რეკრისტალიზებულია.

ზომები: ინტალიოს დიამ.—20 მმ, ბეჭდის დიამ.—20 მმ.

წალკა, 1940 წ., ალგეთის სამარხი.

აქამენიდური ეპოქა, ძვ. წ. V—IV საუკ. უნდა იყოს.

39 (ინგ. № 778)

საბეჭდავი—ბეჭედი ვერცხლისა, ინტალიო ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. იგი უშუალოდ გადადის ვიწრო რკალში.

პირზე გამოხატულია გრძელბოლოიანი ფრინველი, პროფილში მარჯვნივ. თავი სუშარულად არის შესრულებული. საერთოდ გამოხატულება იმდენად სქემატურია, რომ დადგენა იმისა, თუ რომელ ოჯახს ეკუთვნის ეს ფრინველი, ძნელია.

გამოხატულება საჭრისით უნდა იყოს ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად.

დაცულობა: ბეჭედს რკალი მოტეხილი აქვს.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—15 მმ, ინტალიოს განი—9 მმ.

წალკა, 1940 წ., ალგეთის სამარხი.

აქამენიდური ეპოქა.

40 (ინგ. № 775)

სკარაბეოიდი, მოყავისფრო სტეატიტისა, წითელი ლაქებითა და ზოლებით; პირი ოვალური და ბრტყელი აქვს. ქვეში გაკეთებულია ნახვრეტი ზონრისათვის.

პირზე, ძალიან სქემატურად, გამოხატულია ჯიხვი, პროფილში მარჯვნივ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გამოხატულება არ არის დამთავრებული.

გამოხატულება მეტად პრიმიტიული საჭრისით უნდა იყოს ამოჭრილი, ამოკაწრულსა გავს; ტლანქი და დაუდევარი ნახელავია.

ქვე კარგად არის გათლილი და გაპრიალებული.
დაცულობა: საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია.
ზომები: სიგრძე—22 მმ, განი—19 მმ, ნახვრეტის დიამ.—3 მმ.
თრიალეთი, სოფ. სანთა, 1936 წ., ნერონ-დერესი, სამარხი № 3.
აქამენიდური ხანა.

41 (ინვ. 695)

საბეჭდავი—ბეჭედი ბრინჯაოსი, ოვალური მოყვანილობის ინტალიო ბეჭდის რკალში გადადის.


პირზე გამოხატულია გრძელ კაბაში შემოსილი მამაკაცი, პროფილში მარჯვნივ, თავზე თავისებური თავსაბურავი ახურავს. სახე მეტად სუმაჩულად არის შესრულებული—ერთი მკვეთრი ხაზითაა შემოფარგლული, ცხვირი წერტილით არის აღნიშნული. მამაკაცი ქურუმში უნდა იყოს, უკან გადახრილი დგას. იდაყვში მოხრილ მარჯვენა ხელში რაღაც გაურკვეველი საგანი უჭირავს. ქურუმის წინ სამსხვერპლო (?) დგას. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

ინტალიო ნეო-ბაბილონური სტილის საბეჭდავების მიმბაძველობას წარმოადგენს. შდრ. E. Porada, Corpus of Near Eastern Seals in North American collection, v. II, U. S. A., ტაბ. CXNI; გამ. 804, 805, 806 b, 811.

გამოხატულება ხელით არის ამოჭრილი, არაღრმად და ბრტყელი რელიეფით. გაბედული ხელით შესრულებული გამოხატულება არ გამოიჩინევა ოსტატობით.

ბრინჯაოს ბეჭდის ვიწრო რკალი ოდნავ რელიეფურია, რკალი „მხრების“ მიმართულებით მკვეთრად ფართოვდება, ქვევითკენ ჩამოგრძელებულია. ბეჭდის ფარი—ინტალიო უშუალოდ გადადის რკალში, რომლის ნაპირები რკალს მკვეთრად გამოყოფს ინტალიოსგან (სურ. 22). მსგავსი ბეჭდები იხ.

Henkel, Die römischen Fingerringe der Rheinlande, LXVIII, გამ. 1800, 1800a, 1800b.



სურ. 22

დაცულობა: ბეჭედი კარგად არის შენახული.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—21 მმ,

ინტალიოს განი—19 მმ, ბეჭდ. დიამ.—19 მმ,

რკალის განი—6 მმ.

ყოლოთო. 1939 წ., გრუნტული სამარხი № 16, საველე № 219.

ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ძვ. წ. IV—III საუკ. თარიღდება.

42 (ინვ. № 696)

საბეჭდავი—ბეჭედი ბრინჯაოსი, ოვალური მოყვანილობის ინტალიო ბეჭდის რკალში გადადის.


პირზე გამოხატულია ნავი, რომელშიც სამი ადამიანი ზის, პროფილში მარცხნივ. ნავი მიცურავს, ადამიანები ერთი მეორის უკან სხედან. ყოველ მათგანს მარცხენა ხელი აწეული აქვს, ეტყობა ნიჩაბს უსვამენ. ნიჩბები სწორი ხაზებით არის გადმოცემული.

გამოხატულება სუმაჩულად არის შესრულებული, თავები ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

ინტალიო ხელით არის ამოჭრილი, არაღრმად და ბრტყელი რელიეფით: ტლანქი ნახელავია.

ბრინჯაოს ბეჭდის ვიწრო რკალი ადგილ-ადგილ ამოზურცულია. იგი მხრებთან მკვეთრად ფართოვდება და უშუალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის ინტალიოში. ბეჭედი ქვევითკენ ჩამოგრძელებულია (იხ. სურ. 23). მსგავსი ბეჭდები ძვ. წ. III საუკ. თარიღდება. იხ. Henkel, Die römischen Fingerringe, ტაბ. LXVIII, გამ. 1800, 1800a, 1800 b.

დაცულობა: ბეჭედი კარგად არის შენახული.
 ზომები: ინტალიოს სიგრძე—24 მმ, ბეჭდის დიამეტრი—20 მმ;
 ინტალიოს განი—18 მმ, რკალის განი—4 მმ.
 ყოლოთო, 1939 წ., გრუნტული სამარხი № 17, სველე № 269.



სურ. 23


ბეჭდის ფორმის მიხედვით ძვ. წ. IV—III საუკ.

43 (იხვ. № 694)

საბეჭდავი—ბეჭედი ბრინჯაოსი, ოვალური მოყვანილობის ინტალიო—ბეჭდის რკალში გადადის. პირზე გამოხატულია მიმავალი ადამიანი—მამაკაცი, მარჯვნივ; სხეული თითქმის პირდაპირ არის მოცემული. თავი—პროფილში, მარცხნივ. მამაკაცს მოკლე კაბა აცვია; განიერი ბეჭედი აქვს, ვიწრო თეძოები. თავი ძალიან სუმარულად არის შესრულებული—ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული. მამაკაცს ძალიან გრძელი კიდურები აქვს. მარჯვენა ხელში რაღაც ჭურჭელი თუ ქისა უჭირავს, იდაყვში მოხრილი მარცხენა ხელით სარს ეყრდნობა. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება ხელით არის ამოჭრილი, არაღრმად და ბრტყელი რელიეფით.

ბრინჯაოს ბეჭდის ვიწრო და შებრტყელებული რკალი უშუალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის ფარში—ინტალიოში. ფარს ზურგი ოდნავ ამობურცული აქვს (სურ. 24), ჩანს, რკალი ქვევითკენ უნდა ყოფილიყო ჩამოგრძელებული.



სურ. 24

დაცულობა: ბეჭედი პატინამ დააზიანა, რკალი გატეხილი და ნაკლულია. გამოხატულება დაზიანებულია—თავი ბუნდოვნად ჩანს.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—16 მმ, განი—12 მმ,

ბეჭდის დიამ.—14 მმ, რკალის განი—2 მმ.

ყოლოთო, 1939 წ., გრუნტული სამარხი № 17, სველე № 270.
 ძვ. წ. IV—III საუკ.

44 (იხვ. № 772)

მრავალწახნაგა საბეჭდავი²⁹ ლურჯი მინისა. ათწახნაგა საბეჭდავი პარალელოპიპედის ფორმისაა; სწორკუთხედის მოყვანილობის პირი ბრტყელი აქვს, ზურგი წაკვეთილი პირამიდაა. საბეჭდავს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. წახნაგები საკმაოდ მკვეთრად არის გამოხატული. საბეჭდავი საკიდად ან სამაჯურად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

²⁹ საბეჭდავი გამოცემული აქვს მ. მ ა ქ ს ი მ ო ვ ა ს, იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 87.

პირზე გამოხატულია ჰერაკლესა და ახელოეს ბრძოლა. ახელოე ხარად არის წარმოდგენილი; ადამიანის თავი აქვს.

საბეჭდავი ყალიბშია ჩამოსხმული, გამოხატულება მკრთალადაა გამოსული. მსგავსი ტექნიკით დამუშავებული საბეჭდავები იხ. სამთავროში, კლდეეთში, სამხრ. ოსეთში.

დაცულობა: საბეჭდავი ორად არის გატეხილი, ადგილ-ადგილ დაბზარული და ამოტეხილია.

ზომა: სიგრძე—20 მმ, სიმაღლე—9 მმ,
განი—11 მმ, ნახვრ. დიამ.—2 მმ.

წალკა, 1936 წ., ნერონ-დერესი, სამარხი № 3.

ძვ. წ. IV საუკ.

45 (ინვ. № 771)

მრავალწახნაგა საბეჭდავი ლურჯი მინისა⁴⁰. ათწახნაგა საბეჭდავი პარალელოპიპედის ფორმისაა; ბრტყელი პირი თითქმის ოთხკუთხედს წარმოადგენს, ზურგი წაკვეთილი პირამიდაა. საბეჭდავს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. წახნაგები მკვეთრად არის გამოხატული. საბეჭდავი სამაჯურად ან საკიდად იყო გამოყენებული (სურ. 25).

პირზე გამოხატულია ნადირობის სცენა. მხედარი მონადირე პროფილში მარჯვნივ არის გამოხატული, მონადირეს ზეაპრობილ მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, ორ შველს მისდევს.

საბეჭდავი ყალიბშია ჩამოსხმული, გამოხატულება მკვეთრადაა გამოსული.

დაცულობა: საბეჭდავის ზურგი ადგილ-ადგილ ატკეცილია, გამოხატულება და წახნაგები—გაცვეთილი.

ზომები: სიგრძე—19 მმ, განი—15 მმ, სიმაღლე—9 მმ, ნახვრ. დიამ.—3 მმ.

წალკა, 1939 წ. სამარხი № 3 (ნერონ-დერესის სამაროვანთან).

ძვ. წ. IV საუკ.



სურ. 25

46 (ინვ. № 774)

მრავალწახნაგა საბეჭდავი ლურჯი მინისა⁴¹. ათწახნაგა საბეჭდავი პარალელოპიპედის ფორმისაა; სწორკუთხედის მოყვანილობის პირი ბრტყელი აქვს, ზურგი წაკვეთილი პირამიდაა. საბეჭდავს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი საკიდად ან სამაჯურად იყო გამოყენებული.

პირზე გამოხატულია მხედარი, პროფილში მარცხნივ, რომელსაც თავს ესხმის მხეცი, ლომი უნდა იყოს⁴². იმის გამო, რომ საბეჭდავის პირი დაზიანებულია, მხეცს თავი არ უჩანს.

საბეჭდავი ყალიბშია ჩამოსხმული. გამოხატულება მკვეთრადაა გამოსული.

დაცულობა: საბეჭდავს ზურგი ღრმად აქვს გაბზარული, კუთხეები ჩამოტეხილი. პირი ერთგან ამოტეხილია ისე, რომ გამოხატულება დაზიანებულია.

ზომები: საბეჭდავის სიგრძე—18 მმ, განი—10 მმ, სიმაღლე—8 მმ, ნახვრ. დიამ.—3 მმ.

წალკა, 1939 წ., სამარხი № 3 (ნერონ-დერესის სამაროვანთან).

ძვ. წ. IV საუკ.

47 (ინვ. № 773)

მრავალწახნაგა საბეჭდავი ლურჯი მინისა⁴³, ათწახნაგა საბეჭდავი პარალელოპიპედის ფორმისაა; სწორკუთხედის მოყვანილობის პირი ბრტყელი აქვს, ზურგი წაკვეთილი პირამიდაა. საბეჭდავს

⁴⁰ საბეჭდავი გამოცემული აქვს მ. მაქსიმოვას, იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 79.

⁴¹ საბეჭდავი გამოცემული აქვს მ. მაქსიმოვას, იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 82.

⁴² მსგავსი საბეჭდავი არკნეთშია აღმოჩენილი; როგორც ჩანს, ერთი ყალიბითაა ორივე გაკეთებული.

⁴³ საბეჭდავი გამოცემული აქვს მ. მაქსიმოვას, იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 83—84.

მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. წახნაგები საკმაოდ მკვეთრად არის გამოხატული. საბეჭდავი საკიდად ან სამაჯურად უნდა ყოფილიყო გამოყენებული (სურ. 26).



სურ. 26

პირზე გამოხატულია ცხენი, რომელიც კვიცს ეთამაშება. ცხენი და კვიცი პროფილში მარცხნივ არიან გამოხატულნი. ცხენი მირბის, კვიცი მის ფეხთ შორისაა.

საბეჭდავი ყალიბშია ჩამოსხმული. გამოხატულება მკრთალადაა გამოსული.

დაცულობა: საბეჭდავი სიგანეში გაბზარულია ღრმად, ზურგი ერთგან ამოტეხილია, რამდენიმე ანატკეცი აქვს.

ზომები: სიგრძე—6 მმ, სიმაღლე—6 მმ,
განი—10 მმ, ნახვრ. დიამ.—2 მმ.
წალკა, ნერონ-დერესი, 1936 წ., სამარხი № 3.
ძვ. წ. IV საუკ.

48 (ინგ. № 756)

მრავალწახნაგა საბეჭდავი ლურჯი მინისა⁴⁴. ათწახნაგა საბეჭდავი პარალელოპიპედის ფორმისაა; სწორკუთხედი მოყვანილობის პირი ბრტყელი აქვს, ზურგი წაკვეთილი პირამიდაა. საბეჭდავს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. წახნაგები საკმაოდ მკვეთრად არის გამოხატული. საბეჭდავი სამაჯურად ან საკიდად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

პირზე გამოხატულია ირემი (?), პროფილში მარცხნივ, რომელსაც თავს ესხმის რომელიღაც მხეცი. გამოხატულება სუმარულია, ამიტომ ცალკეული დეტალების გარჩევა ძნელია.

საბეჭდავი ყალიბშია ჩამოსხმული, გამოხატულება არ არის ღრმა, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. საბეჭდავი კარგად არის შემოკეთებული.

დაცულობა: საბეჭდავი ზოგან ამოტეხილი და ატკეცილია; პირი რამდენიმე ადგილას გაბზარულია.

ზომები: სიგრძე—18 მმ; განი—11 მმ, სიმაღლე—10 მმ, ნახვრ. დიამ.—3 მმ,
ლოკინი, 1933 წ., შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი, გვიანაქამენიდური ხანა.

49 (ინგ. № 754)

მრავალწახნაგა საბეჭდავი ინტალიო, ლურჯი მინისა. ათწახნაგა საბეჭდავი პარალელოპიპედის ფორმისაა; სწორკუთხედი მოყვანილობის პირი ბრტყელი აქვს, ზურგი წაკვეთილი პირამიდაა. საბეჭდავს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. წახნაგები საკმაოდ მკვეთრად არის გამოხატული. საბეჭდავი სამაჯურად ან საკიდად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

პირზე გამოხატულია ცხენი, პროფილში მარცხნივ, რომლის გვერდით კვიცი უნდა იდგეს. გამოხატულება სუმარულია და ბუნდოვნადაც არის გამოსული, ცალკეული დეტალების გარჩევა ძნელდება.

საბეჭდავი ყალიბშია ჩამოსხმული, გამოხატულება მკრთალია. არ არის ღრმა, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

მსგავსი ტექნიკით დამუშავებული ინტალიოები ადგილობრივად დამზადებულ საბეჭდავებად არის ცნობილი, იხ. მ. მაქსიმოვა, დასახ. ნაშრ.

⁴⁴ მსგავსი ტექნიკით დამუშავებული საბეჭდავები იხ. М. И. Максимова, Стеклопечать, найденные на территории Грузии. еნიშვის მოამბე, X, თბ., 1941.

დაცულობა: საბეჭდავს ცალი კუთხე ჩამოტეხილი აქვს ისე, რომ პირი დაზიანებულია; ზურგი ადგილ-ადგილ დაბზარულია სისქეში. საბეჭდავს (სიგანეში) ირგვლივ საკმაოდ ღრმა ბზარი უვლის.

ზომები: სიგრძე—18 მმ, განი—10 მმ, სიმაღლე—6 მმ, ნახვრ. დიამ.—2 მმ,
ლოჭინი, 1933 წ., შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი.
ძვ. წ. III საუკ.

50 (ინგ. № 755)

მრავალწახნაგა საბეჭდავი—ინტალიო, ფრაგმენტი, ლურჯი მინისა. ათწახნაგა საბეჭდავი პარალელოპიპედის ფორმისა უნდა ყოფილიყო; სწორკუთხედის მოყვანილობის, პირი ბრტყელი აქვს, ზურგი წაკვეთილი პირამიდაა. საბეჭდავს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის, წახნაგები მკვეთრად არის გამოხატული. საბეჭდავი სამაჯურად ან საკიდად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

პირზე გამოხატულია ცხენი, პროფილში მარჯვნივ. გამოხატულება სუბარულად არის შესრულებული; თავი ბუნდოვნად ჩანს, სხეული ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული.

საბეჭდავი ყალიბშია ჩამოსხმული, გამოხატულება მკრთალადაა გამოსული, არ არის ღრმა. ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

ზღრ. М. И. Максимова, Геммы из некрополя Микеты—Самтавро, გამ. 65.

დაცულობა: საბეჭდავს ნაწილი ჩამოტეხილი აქვს, აკლია. ადგილ-ადგილ სისქეში გაბზარულია.
ზომები: სიგრძე—11 მმ, სიმაღლე—7 მმ, განი—11 მმ, ნახვრ. დიამ.—2 მმ,
ლოჭინი, 1933 წ. შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი.
ძვ. წ. III საუკ. უნდა იყოს.

51 (ინგ. № 823)

მრავალწახნაგა საბეჭდავი—ინტალიო, ფრაგმენტი, ლურჯი (ლაყვარდისებრი) მინისა. ათწახნაგა საბეჭდავი პარალელოპიპედის ფორმისაა; პირი სწორკუთხედის მოყვანილობისაა, ზურგი წაკვეთილი პირამიდაა; საბეჭდავს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. წახნაგები საბეჭდავს საკმაოდ მკრთალად ეტყობა. საბეჭდავი საკიდად ან სამაჯურის ნაწილად ყოფილა გამოყენებული.

გამოხატულება ძნელი გასარკვევია, იმის გამო, რომ საბეჭდავი დამტვრეულია პატარ-პატარა ნატეხებად.

ბრტყელ პირზე ცხოველი უნდა იყოს გამოხატული, პროფილში მარჯვნივ, თავი, გულ-მკერდი და ფეხები არ ჩანს. შესაძლებელია ცხენი იყოს გამოხატული.

საბეჭდავი ყალიბშია ჩამოსხმული. ყალიბი მთლიანი ქვის საბეჭდავიდან არის გაკეთებული. ჩანს გამოხატულება მკრთალად იყო გამოსული; არ არის ღრმა, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

მსგავსი ტექნიკით დამუშავებული საბეჭდავები საქართველოს ტერიტორიაზე არაერთხელ აღმოჩენილა. იხ. М. И. Максимова, Стекланные многогранные печати, найденные на территории Грузии, ენიშის „მოამბე“, თბ., 1941 წ.; М. И. Максимова, Геммы из Некрополя Микеты—Самтавро, გვ. 263, №№ 64, 65; მ. ლორთქიფანიძე. სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, გვ. 29, № 35.

დაცულობა: საბეჭდავი პატარ-პატარა ნატეხებად არის დამტვრეული. ზედაპირი ყავისფერი ფენით (ფისოვანი ნივთიერების მაგვარია) არის დაფარული.

ზომები: სიგრძე—9 მმ, 7 მმ, განი—9 მმ, ნახვრეტის დიამ.—3 მმ.

კლდეით, 1941 წ., აქტის № 23.

ანალოგიური მასალის საფუძველზე საბეჭდავი ძვ. წ. I საუკ. თარიღდება.

52 (ინგ. № 735)

საბეჭდავი—ბეჭედი⁴⁵ ინტალიო, ფრაგმენტირებული, ბრინჯაოსი. ამოკვეთილგამოსატულეებიან ბეჭედს ოვალური და ბრტყელი პირი აქვს.

პირზე გამოხატულია გრძელბოლოიანი ფრინველი, პროფილში მარცხნივ. თავზე დიდი ქოჩორი უნდა ჰქონდეს. მოკლფეხებიანია.

პირი ძალზე გაცვეთილია, ამიტომ გამოხატულების გარჩევა ძნელია, ბუნდოვნად ჩანს; ადგილობრივად მიჩნეულ საბეჭდავ-ბეჭედების წრეს ვაკუთვნებთ (ამიტომ, პირობითად, ადგილობრივი გემების ჯგუფში ვათავსებთ).

ბეჭედის „ფარი“ ოვალური მოყვანილობისაა, იგი უშუალოდ გადადის ვიწრო რკალში; რკალს ბრტყელი შიდაპირი აქვს, ოდნავ ამობურცული ზედაპირი.

გამოხატულება საჭრისით უნდა იყოს ამოჭრილი. არაღრმად: ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

დაცულობა: ბეჭედისაგან დარჩენალია ნატეხი—ფარი მთლიანად და რკალის ნაწილი.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—13 მმ, განი—10 მმ.

ყაზბეგი, შემთხვევითი მონაპოვარი, ძვ. № 286.

ძვ. წ. II საუკ. უნდა იყოს.

53 (ინგ. № 829)

ინტალიო მუქი ნარინჯისფერი სარდიონისა, თვლებით მოოქვილ აგრაფს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია წვერიანი მამაკაცის პორტრეტი, პროფილში მარჯვნივ. გარკვეული პიროვნებაა გამოხატული.

მამაკაცი შუახნისაა, რბილი სახის ნაკვთები აქვს, ჭკვიანი და სათანო სახე. მაღალი შუბლი ღრმა ლარით არის გადასერილი. გრძელი, ოდნავ აწეული ცხვირი აქვს, მკვეთრად გამოხატული ფართო ნესტოებით.

მამაკაცს პირი ოდნავ გაუღია; ქვედა ტუჩი ზედასთან შედარებით საგრძნობლად პატარაა. მორკალული გრძელი და წვრილი წარბი საკმაოდ მაღალი აქვს, ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ წარბები შეერთებულია. მრგვალი მოყვანილობის დიდი თვალი საკმაოდ ღრმად ზის, თვალის ქუთუთოები მკვეთრად არის გამოხატული.

მამაკაცს თვალი დაღლილი აქვს, სივრცეს გასცქერის. მაღალი ყვრიმალის ძვალი რბილი ხაზებითაა გადმოცნუნული, პატარა ყური ფაქიზადაა შესრულებული. მამაკაცი მოკლედ არის გაკრეჭილი, თმა შუბლზე ჩამოშლია; კეფაზე თმა ჰორიზონტალურად აქვს განლაგებული, საფეთქელთან—ტალღისებურად. თმა ოდნავ დახვეულ-დატეხილია. გრძელი წვერი, რომელიც საფეთქელთან თმას უერთდება, დატეხილი ღარებითაა შესრულებული. მაღალი და ლამაზი კისერი აქვს. კისრის ხაზი შეუმჩნეველად გადადის ზურგის ხაზში.

მამაკაცის თავს უჩვეულო თავსაბურავი ამკობს, რბილი ქსოვილისა უნდა იყოს. თავსაბურავი ყაბალახს მოგვაგონებს⁴⁶. ყაბალახი თავს მჭიდროდ ეკვრის; მისი ერთი ბოლო იმგვარადაა ჩაკეტილი, რომ მაღალი თავსაბურავის შთაბეჭდილებას ქმნის, ღრმა ნაკეცებით.

⁴⁵ იხ. A. Zakharow, Gemmen und Siegeln des Museums Georgiens, ტაბ. V, 153.

⁴⁶ ამჟამად ამგვარ ყაბალახს აჭარლები ატარებენ.

კეთაზე, ყაბალახიდან, ჩამოშვებულია საკმაოდ ფართო ზონარი (?); ბოლო აკეცილი აქვს, ბეჭებამდე წვდება.

მამაკაცს მხარი პირობითად აქვს გადმოცემული, აცვია წამოსასხამი, რომელიც მხარზე საკინძით აქვს შეკრული. ქსოვილის მრავალი ნაოჭი საკმაოდ სქემატურად არის გადმოცემული.

კისერზე, წვრილ ჯაქვსა თუ ზონარზე, კონუსისებრი ნივთი ჰკიდია (საბეჭდავი ხომ არ არის?).

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე მკვეთრ რელიეფს იძლევა.

როგორც ჩანს, ინტალიო თავდაპირველად უფრო დიდი ზომისა ყოფილა, სწორკუთხედის ფორმისა, კუთხეებშიმრგვალებული ნაპირები ფაქიზად და გულმოდგინედ ჰქონია შემოკეთებული, გვერდები სწორი ჰქონია. შემდეგ, როგორც ჩანს, იგი აგრაფის ბუდისათვის უნდა მოერგოთ, ამიტომ თავსა და ბოლოში ჩამოუჭირიათ და ამით გამოხატულება დაუზიანებიათ. სახელდობრ, თავსაბურავის ზედა ნაწილი აღარ ჩანს როგორც ბოლოვდებოდა. ამის გამოა, რომ თვალი თავსა და ბოლოში შემომტვრეული და ატკეცილია—დაუდევრად არის შემოჭრილი.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, ზომიერი რელიეფით. ზოგან გამოხატულება უფრო ღრმად არის ჩაჭრილი, ზოგან ქვის თხელი ფენა ამოკვეთილი. მეტად ფაქიზი და ოსტატური ნახელავია. ჩანს ოსტატი დახელოვნებული ყოფილა ქვაზე ამოჭრის ხელოვნებას. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული, ფონი ელვარებს. გამოხატულება ზოგან მჭრქალია—თმა, ყური, წვერი, ნაწილობრივ ყაბალახი და სამოსი, აგრეთვე ყელსაბამიც. სახე და ყაბალახის ნაწილი მკრთალად არის გაპრიალებული.

აგრაფი ღია ფერის ფურცლოვანი ოქროსაგან არის გაკეთებული; აგრაფს ღრმად დაკბილული ნაპირები აქვს—ცამეტკბილიანია. ნაპირს გარს უვლის საკმაოდ მსხვილი გავარსის წყება. ყოველი კბილის გასწვრივ დარჩილულია ოვალური მოყვანილობის (სხვადასხვა სახის) დაბალი ბუდე. ყოველი ბუდე გავარსის წყებით არის გარშემოვლებული (ერთი ბუდე რომბისებრი მოყვანილობისაა). ბუდეები აღმანდინებითა და პირობებით არის შემკული; თვლებს მეტ-ნაკლებად რელიეფური ზედაპირი აქვთ, ბუდეები თვლებს მჭიდროდ ეკვრის.

აგრაფის ცენტრში დარჩილულია ოვალური მოყვანილობის დაბალი და დიდი ბუდე, რომელიც ამოკვეთილგამოხატულებიანი ქვით არის შემკული: ბუდის ძირს გარს უვლის მსხვილი გავარსის წყება. ყოველი „კბილის“ ნაპირზე პაწია ნახვრეტია გაკეთებული. აგრაფის ზურგზე დარჩილულია ორმაგი ყუნწი და ფართო ენა. აგრაფს შესაკრავი ჰქონია (იხ. ტაბ. VIII, 53!).

ინტალიოზე გამოხატული პორტრეტი პირდაპირ ანალოგიებს ვერ პოულობს. დადგენა იმისა, თუ ვინ არის გამოხატული ქვაზე—ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა. შესრულების ხასიათით ინტალიო ახლო დგას ბიზლის, ფურტვენგლერისა და ვუოლტერსის მიერ გამოცემულ გეშებთან. შდრ. Beazley, The Lewes House collection of ancient gems, Oxford, 1920, ტაბ. 6, გამ. 97; Walters, Catalogue of engraved gems and cameos, ტაბ. XVII, გამ. 1182; Furtwängler, Die antiken Gemmen, ტაბ. 31, გამ. 24 (სურ. 27, 28).

დატულობა: ინტალიოს ნაპირები თავსა და ბოლოში შემომტვრეულია, პირის კიდეები ზოგან ატკეცილია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე — 34 მმ,

ინტალიოს განი — 24 მმ,

ბუდის სიგრძე — 35 მმ, ბუდის განი — 25 მმ,

აგრაფის სიგრძე — 60 მმ,

აგრაფის განი — 50 მმ.

კლდეით, 1941 წლის მონაპოვარი. აქტ. № 1.



სურ. 27



სურ. 28


ვფიქრობთ, რომ ინტალიოზე რომელიმე ადგილობრივი პიროვნებაა გამოხატული. ჩანს ქვა ძვ. წ. უკანასკნელი საუკუნეების ნახელავი უნდა იყოს, მეორედ არის გამოყენებული და გვიანდელ, სახელდობრ, II—III საუკ. ახ. წ. ბუდეშია ჩასმული.

3. ძველი აღმოსავლეთი

54 (ინვ. № 631)

ინტალიო—საბეჭდავი მოყვითალო ქვიშაქვისა⁴⁷.

საბეჭდავი წაკვეთილი პირამიდისებრი ფორმისაა, ოვალური ფუძით, რომელიც საბეჭდავის პირს წარმოადგენს. ქვაში გაკეთებულია ნახვრეტი ზონარისათვის; პირი ოვალური და ბრტყელი აქვს (სურ. 29).



სურ. 29

პირზე, ძალიან სქემატურად, ამოჭრილია ცხოველი (?), პროფილში მარცხნივ, მიმავალი. გამოხატულება ხაზებისაგან არის შედგენილი; ძნელი გასარკვევია, სახელდობრ (ან მიახლოებითა მინც) რომელი ცხოველია გამოხატული.

გამოხატულება საჭრისით არის ამოჭრილი, ღრმად; ძალიან სქემატური და საკმაოდ ტლანქი ნახელავია. საბეჭდავი არ არის თანაბრად გათლილი.

მსგავსი გამოხატულებები იხ. Furtwängler, Beschreibung der Geschnittenen Steine, ტაბ. 2, გამ. 67, 70; ყველაზე ახლო ანალოგია Hogart-ის მიერ გამოცემული საბეჭდავი უნდა ჩაითვალოს, იხ. Hittite Seals, London, 1911, ტაბ. IX, გამ. 269, როგორც სტილისტურად, ასევე საბეჭდავის ფორმის მხრივ.

დაცულობა: საბეჭდავის ზურგი რამდენიმე ადგილას ჩამოტეხილია; პირი ორგან ამოტეხილი აქვს. ზომები: პირის სიგრძე—34 მმ, საბეჭდავის სიმაღლე—28 მმ.


პირის განი—23 მმ, ნახვრეტის დიამ.—8 მმ.

ურბნისი, შემთხვევითი მონაპოვარი.

საბეჭდავს ხეთური საბეჭდავების წრეს ვაკუთვინებთ, სახელდობრ ძვ. წ. VII საუკ.

55 (ინვ. № 630)

ინტალიო—საბეჭდავი ბრინჯაოსი⁴⁸. საბეჭდავი სქელი ფირფიტისაგან არის გაკეთებული, ოთხკუთხა და ბრტყელია, მომრგვალებული კუთხეებით. ფირფიტას ზურგზე დარჩილული აქვს მრგვალი საკმაოდ სქელი ყუნწი—სახელური (სურ. 30).



სურ. 30

ბრტყელ პირზე გამოხატულია ირემი, პროფილში მარცხნივ, მიმავალი. თავი ძალიან სუმარულად აქვს შესრულებული. ირემს დიდი, დატოტვილი რქები აქვს, სქემატურად გადმოცემული. წინა ფეხები სწორი ხაზებითაა გადმოცემული, უკანა ფეხები—სახსრებში ოდნავ მოხრილი. სხეული ძალიან მაღალი რელიეფით არის შესრულებული. ირემის ფეხებს შორის ნახევარი მთვარეა (?) ამოკვეთილი: თავის გასწვრივ, ინტალიოს მარჯვენა კუთხეში, მზე (?). გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა.

⁴⁷ საბეჭდავი გამოკვეთილი აქვს ზაზაროვს, იხ. Gemmen und Siegeln des Museums Georgiens, საქ. მუხ. მონაბე, ტ. V, თბ., 1931, ტაბ. I, გამ. V.

⁴⁸ საბეჭდავი გამოკვეთილი აქვს ზაზაროვს, იხ. Gemmen und Siegeln des Museums Georgiens, ტაბ. V, გამ. 172.

გამოხატულება ჩამოსხმულია, ჩამოსხმის შემდეგ ოსტატს აქა-იქ საჭრისი უხმარია. გამოხატულება ზოგან ღრმად არის გამოხული, ზოგან დაბალი რელიეფით. ჩანს, საბეჭდავი, რომლიდანაც პირი აულიათ, ღრმად ნაკვეთი ყოფილა.

დაცულობა: საბეჭდავი პატინით იყო დაფარული, ამის გამო ზოგან გაცვეთილია—შექმულია ჟანგისაგან.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—26 მმ, ინტალიოს განი—25 მმ, ყუნწის დიამ.—11 მმ. ურბნისი, შემთხვევითი მონაპოვარი⁴⁹.

4. პართული გემები

56 (ინვ. № 697)

ინტალიო—საბეჭდავი, მთის ბროლისა, გამჭვირვალე. ინტალიო ელიფსისებრი ფორმისაა, ცალ მხარეს წაკვეთილი, გამოხატულება წაკვეთილ მხარეზეა ამოჭრილი; პირი ოვალური და ბრტყელი აქვს. ქვაში გაკეთებულია ნახვრეტი ზონრისათვის (სურ. 31).

პირზე გამოხატულია მორიელი, საკმაოდ სქემატურად. კუდი მოკეცილი აქვს, ფეხები და მარწუხები ტეხილი ხაზებით არის გადმოცემული, ტანი რამდენიმე ირიბი ხაზით არის გადასერილი.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

მსგავსი გამოხატულება იხ. Delaporte, Catalogue des cylindres et des cachets orientaux II, Acquisitions, Paris, 1923, ტაბ. 108, გამ. 32 (A. 1276), 33 (A. 1278), 34 (A. 1277).

გამოხატულება დაზგაზნა ამოჭრილი მკვეთრად და არაღრმად, საკმაოდ სქემატური ნახელავია. ზურგი კარგად არის გათლილი. პირი გაბრიალებულია, გამოხატულება მჭრქალად არის დატოვებული.

დაცულობა: პირი ადგილ-ადგილ ატკეცილია, ზურგი ერთგან გაბზარულია, სისქეში, ცერად; საბეჭდავს ანატკეცი აქვს.


ზომები: ინტალიოს სიგრძე—14 მმ,

საბეჭდავის სიმაღლე— 16 მმ,

ინტალიოს განი—12 მმ,

ნახვრეტის დიამ.— 3 მმ.

პართული ეპოქა.



სურ. 31


57 (ინვ. № 184)

ბეჭედი—ინტალიო, ყავისფერი ფრცხილისა, ნაცრისფერი და გამჭვირვალე ყავისფერი ზოლებით. ბეჭედი მთლიანი ქვისაგან არის გამოთლილი, ფართო რკალი გარედან ამოზურცულია; შიდა-პირი ბრტყელი აქვს. ინტალიო ოვალურია, პირსრტყელი (სურ. 32).

პირზე გამოხატულია მიმავალი მამაკაცი, პროფილში მარჯვენა. გამოხატულება სქემატურად არის შესრულებული. მამაკაცს მოკლე, ხშირნაოჭიანი კაბა აცვია. მარჯვენა ხელი ზევით აქვს აპყრობილი, ვედრების მოძრაობაში (?). გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზნა ამოჭრილი, არაღრმად. გამოხატულება მჭრქალია, ბეჭედი კარგად არის გათლილი და გაბრიალებული.

მსგავსი ფორმის ბეჭდები იხ. წ. III—IV საუკ. თარიღდება, იხ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. 5, გამ. 45; აგრეთვე Henkel, დასახ. ნაშრ., ტაბ. LXI, გამ. 1616.



სურ. 32

⁴⁹ მუზეუმში შემოსულია 1902 წ., იხ. V в а р о в а, დასახ. ნაშრ., გვ.

დაცულობა: ბეჭედი კარგად არის შენახული.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—15 მმ, ბეჭდის სიმაღლე—22 მმ,
ინტალიოს განი—11 მმ, ბეჭდის დიამეტრი—15 მმ.

რუსთავი, შემთხვევითი მონაპოვარი, 1946 წ.

ბეჭედი ახ. წ. III—IV საუკ. თარიღდება.

58 (ინვ. № 182)

ინტალიო ღია ფერის ალმანდინისა—გრანატი, ოქროს ბეჭედს ამკობს. ინტალიო მრგვალია; ამობურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია ცხოველი, კურდღელი (?), პროფილში მარჯვნივ, ძალიან სქემატურად. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად, ესკიზური მანერით არის შესრულებული. ქვა გაპრიალებულია, გამოხატულება მჭრქალია.

ბეჭედი ღია ყვეთელი ფერის ოქროსაგან არის გაკეთებული. ვიწრო რკალზე, რომელიც შედგენილია წვრილი მავთულისა და გავარსისაგან შედგენილი ორი მავთულისაგან, დარჩილულია მრგვალი ბუდე. ბუდეს გარს უვლის გავარსის წყება.

დაცულობა: ბეჭედი ოდნავ დეფორმირებულია.

ზომები: ბეჭდის სიმაღლე—18 მმ, ბუდის დიამ.—10 მმ,

ბეჭდის დიამ.—13—15 მმ, ინტალიოს დიამ.—7 მმ.

კორბოული, 1945 წ., შემთხვევითი მონაპოვარი.

ამოჭრის მანერისა და სტილისტური თავისებურების მიხედვით პართული ებოქა.

58¹ (ინვ. № 698)

ინტალიო ბაცი მწვანე მინისა, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ქვედაპირი.

პირზე გამოხატულია მიშავალი ცხოველი, პროფილში მარჯვნივ.

ინტალიო ჩამოსხმულია, გამოხატულება ბუნდოვნად არის გამოხსული. ბრტყელი რკალი მხრებთან ფართოვდება და ბრტყელ ფირფიტაში (ბუდის ძირში) გადადის, რომელზედაც ოვალური და დაბალი ბუდეა დარჩილული. მხრები ბეჭედს დაქანებული აქვს.

დაცულობა: თვალი ირიხებულია; ბუდე დამტვრეულია.

ზომები: ბეჭდის სიმაღლე—26 მმ. ინტალიოს სიგრძე—14 მმ,

ბუდის დიამ.—20—18 მმ, ინტალიოს განი—8 მმ.

ყოლოთო.

ინტალიო პართული პერიოდის გემიდან არის ჩამოსხმული.

59 (ინვ. № 666)


საბეჭდავი მოწითალო სარდიონისა. საბეჭდავი სფერული ფორმისაა, ცალ მხარეს წაკვეთილი გამოხატულება წაკვეთილ მხარეზეა ამოჭრილი; პირი ოვალური და ბრტყელი აქვს. ქვაში გაკვეთებულია ნახვრეტი ზონრისათვის (სურ. 33).

პირზე გამოხატულია კუზიანი ხარი—ზებუ, მირბის, პროფილში მარცხნივ. ლომს, რომელიც ზებუს თავს ზემოთ არის გამოხატული, ნახტომი გაუკეთებია და თავდასხმას უპირებს. ზებუს ზურგის გასწვრივ, ლომის წინ, ნიშანია ამოჭრილი.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად. საკმაოდ კარგი ნახელავია. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული, გამოხატულება მჭრქალია.

დაცულობა: საბეჭდავს აქა-იქ ანატკეცები აქვს.

ზომები: საბეჭდავის სიმაღლე—15 მმ, პირის სიგრძე—24 მმ, პირის განი—16 მმ.



სურ. 33

ახალციხე, შემთხვევითი მონაპოვარი.

ამოჭრის მანერის მიხედვით ახ. წ. III—IV საუკ. უნდა იყოს.

60 (იხვ. № 718)

ინტალიო—ბეჭედი, ნარინჯისფერი სარდიონისა, ოვალური მოყვანილობის ინტალიო უშუალოდ გადადის ბეჭდის რკალში. რკალი გარედან დაკუთხულია; შიდაპირი ბრტყელი აქვს. ინტალიო ბრტყელია.

პირზე გამოხატულია სირაქლემა, პროფილში მარჯვნივ; სუმარულად შესრულებული თავი უკან აქვს გადაგდებული. ნაკრტენსა და ფრთებს ირიბი ხაზები გამოხატავს. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად, სქემატური ნახელავია. ბეჭედი კარგად არის გათლილი და გაპრიალებული; გამოხატულება მჭრქალია.

მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ. წ. IV საუკ. თარიღდება. იხ. Henkel, დასახ. ნაშრ., ტაბ. LX, გამ. 1616.

დაცულობა: ბეჭედი კარგად არის შენახული.

ზომები: ბეჭდის სიმაღლე—22 მმ, ინტალიოს სიგრძე—11 მმ,

ბეჭდის დიამ.—15 მმ, ინტალიოს განი—5 მმ.

თრიალეთი, ს. ჯინისი, 1936 წ.

ახ. წ. IV საუკ. უნდა იყოს.

5. დამატება

61 (იხვ. № 692)

კამეა, სარდიონ-ფრცხილზე ამოჭრილი. ქვა მრავალფენიანია, ფენები მოყავისფრო, ყავისფერი და ნაცრისფერია; ფონი კამეას ყავისფერი აქვს.

კამეა მამაკაცის ბიუსტს გამოხატავს, პროფილში მარჯვნივ. თავზე ეგვიპტური თავსაბურავი ახურავს, მხრებსა და გულ-მკერდს უფარავს. თავსაბურავი წმინდა და ღრმა ღარებით არის დასერილი. მამაკაცს სწორი, მკვეთრად გამოხატულნესტოებიანი ცხვირი აქვს; საკმაოდ ფართოდ გაღებული თვალი, ოდნავ წინ წამოწეული ენერგიული ნიკაბი, სქელი ტუჩები; შუბლი არ უჩანს—თავსაბურავი უფარავს.

მამაკაცს მხარის ნაწილი გატიტვლებული აქვს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი. ფაქიზი ნახელავია.

დაცულობა: კამეა რამდენიმე ადგილას გაბზარულია სისქეში, თვით გამოხატულება ორგან არის გაბზარული, ცერად; რამდენიმე ადგილას ატკეცილია.

ზომები: სიგრძე—21 მმ, განი—16 მმ, სიმაღლე—6 მმ.
ახალციხე, შემთხვევითი მონაპოვარი.
გვიანრომაული ხანისა უნდა იყოს, დაახლოებით ახ. წ. II—III საუკ.

62 (იხვ. № 185)

ინტალიო მოწითალო ფერის სარდიონისა, ოქროს ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია ზევსი, რომელიც ფრთავაზლილ არწივზე ზის, პროფილში მარცხნივ. ღვთაებას წინ ვაწვდილ მარჯვენა ხელში გამარჯვების ღვთაება—ნიკე უჭირავს, მარცხენაში—კვერთხი. ზევსის თავი სუმარულად არის შესრულებული; წელს ზევით ტიტველია, წელს ქვევით ქლამიდა აქვს შემოხვეული. ქსოვილის ნაკეცები და ფრინველის ნაკრტენი სქემატური ხაზებით არის გადმოცემული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზვა ამოჭრილი, არალრნად. სქემატური და საკმაოდ ტლანქი ნახელავია. ჩანს, ქვა განოხატულებითურთ გაპრიალებული ყოფილა.

ანალოგიური გამოხატულება გვხვდება რომაულ გემებზე. იხ. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 23, გამ. 2609.

ბეჭედი ღია ყვითელი ოქროსაგან არის გაკეთებული. სქელი, გვერდებისაკენ ოდნავ განზიდული რკალი მხრების მიმართულებით შეუმჩნევლად ფართოვდება. რკალი მიჩნეულია შალალ ბუდეზე, რომლის წაგრძელებულა გვერდები ბეჭდის „დაქანებულ“ ნსრებს წარმოადგენს. ბუდეს, ნაპირზე, თვალის ირგვლივ, ვავარსის წყება ავლია: ცალ მხარეს—მოზრდილი პირთვი აქვს მიჩნეული (სურ. 34).



სურ. 34

დაცულობა: ინტალიო ვაცვეთილია, ხანგრძლივი სმარების შედეგი უნდა იყოს.

ზომები: ბეჭდის სიმაღლე—29 მმ, ინტალიოს სიგრძე—16 მმ,
ბეჭდის დიამ.—18—20 მმ, ინტალიოს განი—14 მმ.


ს. სალოლაშენი, 1945 წ., შემთხვევითი მონაპოვარი, მიწის სამუშაოების დროს.

ახ. წ. III ს. ბოლო და IV საუკ. დასაწყისი უნდა იყოს. ინტალიოს სადაურობის გარკვევა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

63 (იხვ. № 654)

ინტალიო პიროპისა—გრანატი, ოქროს ბეჭედს ამკობს. ინტალიო მრგვალია, ამოზურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია მამაკაცის თავი, პროფილში მარჯვნივ; პორტრეტი უნდა იყოს, საკმაოდ სქემატურად შესრულებული. მამაკაცს დაბალი შუბლი აქვს, გრძელი, მკვეთრად გამოხატული ნესტოებანი ცხვირი. ფართოდ გაღებული თვალი მკვეთრად არის შემოფარგლული. მოკლედ შეჭრილი თმა ცალკეული ბლუჯებით არის გადმოცემული. მამაკაცის ყურს საკიდიანი საყურე ამკობს.



სურ. 35

გამოხატულება დაზგაზვა ამოჭრილი, არალრნად. გამოხატულება მქრქალია, ფონი ელვარებს.

ბეჭედი ღია ყვითელი ფერის ოქროსაგან არის გაკეთებული. ვიწრო რკალი სტილიზებულ მხრებში გადადის (სურ. 35). მხრები ლოტოსის ყვავილს

გამოხატავს. რკალი მიჩნეულია დაბალ და მრგვალ ბუდეზე. სტილიზებულმხრებიანი ბეჭდები ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

დაცულობა: ინტალიოს ნაპირები ადგილ-ადგილ შემომტვრეულია. თვალი ბუდიდან ვარდება. ზომები: ინტალიოს დიამ.—12 მმ, ბეჭდის დიამ.—18 მმ, ბუდის დიამ.—13 მმ.

ახალციხე, შემთხვევითი მონაპოვარი.

ბეჭდის ფორმის მიხედვით ახ. წ. III საუკ. ინტალიოს სადაურობა ჯერჯერობით ვერ გაირკვა.

64 (ინგ. № 781)

ინტალიო მოყვანისფრო აქატისა, მუქი ზოლებით, რკინის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე, ძალიან სქემატურად, გამოხატულია ფრინველი, პროფილში მარჯვნივ. ფრინველი ფრთაგაშლილია, ხის ტოტზე უნდა იჯდეს.

გამოხატულება დაზგაზნა ამოჭრილი, არაღრმად. ტლანქი, პრიმიტიულად შესრულებული ნახელავია. ქვა გაპრიალებულია, გამოხატულება მქრქალია.

ბეჭდის ვიწრო რკალი მხრებთან შეუმჩნეველად ფართოვდება და ოვალური მოყვანილობის დაბალ ბუდეში გადადის. ბეჭედს მკრთალად გამოხატული ჰორიზონტალური მხრები აქვს. მსგავსი ბეჭდები ახ. წ. III საუკ. თარიღდება, შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოაოვე-ბული ბეჭდების კატალოგი, ტაბ. 3, გამ. 23.

დაცულობა: ბეჭედი ქანგის სქელი ფენით არის დაფარული.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—9 მმ, ბეჭდის სიმაღლე—21 მმ,

ინტალიოს განი—6 მმ, ბეჭდის დიამ.—14 მმ.

წალკა, 1936 წ., ექსპედიცია.

ბეჭდის ფორმის მიხედვით ახ. წ. III საუკ.

65 (ინგ. № 176)

ინტალიო, მოწითალო სარდიონისა.

